



საქართველოს
საქართველოს

საქართველოს საქართველოს

საქართველოს
საქართველოს



1915



ივნილი № VI

მუგრდილთათვის



რედაქცია სთხოვს ხელის მოძვერთ, რომელთაც
წლის მეორე ნახევარის სვედრი ფული არ შემოუტა-
ნიათ, დაახქარონ გამოგზავნა, რათა ჟურნალის გზავნა
არ მოესპოთ.

ნაკადული

საქართველოს სახელმწიფო
საბჭოთაო სტამბო.

საბჭოთა კავშირი

№ 6

036060, 1915 წ.

296



მძიმედ დაჭრილი მხედარი.

შინაარსი

I—მძიმედ დაკრილი მხედარი,—სურათი.....	1
II—ყვავილი,—ლექსი ვ. გორგასასა	3
III—დარღვეული პირობა,—მოთხრობა დ. ძეძაშვილისა	4
IV—მწყემსის წერილები,—(დასასრულა) ა. შვედლიშვილისა	14
V—ავგული ფოსტის დამტარებელი,—რაბიდრანათ თაგორისა, თარგმანი ნანო ხაკაშვილისა	30
VI—წეროები,—ზღაპარი ანდერსენისა, თარგმანი გერმანულით, ალვა ხაკაშვილისა	32
VII—აკაკი წერეთელი,—(წერალი ჰარველა) ვახტანგ კოტეტაშვილისა	39
VIII—ბრძოლა ადამინისა ბუნებასთან,—საზღვაო და სამდინარო არხები (წერილი მეთორმეტე) ა. როსტომიშვილისა	57
IX—გასართობი,—შარადა და აღსნა	64





ყვავილი



აფხულის პირზე ბაღში ჰყვავოდა
და იშლებოდა ქორთა ყვავილი;
ნამი კრიალით ფოთლებზე კართოდა,—
იღიმებოდა შვეებით აღესილი.

ხშირად ბულბული ჰანგს მონარნარეს
დილის ცისკარზე შორს გაჰკიოდა...
და ყვავილს იმა ჰანგით მგზნებარეს
შვეების კრემლები ხშირად სდიოდა!..


გავიდა ხანი... ღრუბლის ზეწარი
კას თეთრ არშიად გადაეფინა...
ჩამოწვა ნისლი, ავიარდა ქარი...
ყვავილმა ოხვრით ამოიგმინა!..

ასე ჩამოჰკენა ნორჩი სიციცხლეტი,
დრომ თან წაიღო შვება და ლხენა,
ბედნიერება იყო ხან-მოკლე,
და შემდეგ ბაღში იყო მოწყენა!



ვ. გორგაძე





დარღვეული პირთა



1

აიკო, ჰაი, მაიკო! აქ გამოიქეცი: აი, როგორი ურემი მოგიტანე! მე ახლა ძროხაში დავდივარ და სათამაშოდ აღარა მცალია. დედამ მითხრა, შენ მაინც აღარ გინდა ეს ურემი, და ჩვენებიანთ მაიკოს აჩუქეო.

— დილილმე, რა კარგი ურემია! სულ მართალს ურემსა ჰგავს: ჰალებიცა აქვს, ზეწრებიც, კონკილაც... ჩემ ტიკინებს ჩავსხამ შიგ და მარიამობას წავიყვან! ამისთანა ურემი არავისაც არ ექნება: არც კატოს, არც ვეას...—ტიტინებდა სიხარულისაგან სახე გაბრწყინებული მაიკო.—მერე, ლექსო: შენ კი არ გინდა, რომ მე მაძღვე ამ ურემს; ზაფხულში ნესვ-ყარფუზობას რილათი ითამაშებ?

— რაღა დროს ჩემი სათამაშო ურემია?!. რაც მამაჩემი ომში წაიყვანეს, საქონელი სულ ჩემს ანაბარას არის. გუშინაც შეშის ურემი მე მოვიტანე ტყიდან. მამასახლისმა ტილაანთ ისაკო გამომაყოლა, ¹⁾ მაგრამ იმან ნახევრობამდის დადებას კი მიშველა და მერე თავის ვენახისთვის კიგვის საქრელად წავიდა კალაში. ურემი მე მარტოკამ გავავესე და წამოვიღე.

¹⁾ სათადარიგო ჯარისკაცების ოჯახებს, თანახმად სოფლის დადგენილებისა, მეზობლები მუშაობაში ზელს ახმარებენ.



— მერე, მარტოკას ტყეში მგლებისა არ შეგეშინდა?

— ჰმ, მგლებისა! კაცს მგლისა კი არა, დათვისაც არ შეეშინდება. ცული იქ არ მქონდა?! ერთი გამოსულიყო კი, და ისე გაეფურჩხავდი თავს რო...

მაიკო განცვიფრებით და მოკრძალებით შეჰყურებდა ამ თითქმის თავისივე ტოლ ბიძაშვილს, რომელიც წარსულ ზაფხულს მასთან ერთად ცხენობანას თამაშობდა, ახლა კი თავის სწორად კი არა, „პატარა კაცად“ უფრო ესახებოდა.

— იცი, ლექსო, — უთხრა მაიკომ: — ჩვენ ევლოგიაზე ღვთისმშობელში ღამის თევით უნდა წავიდეთ; შენც წამოდი ჩვენთან. სულ შენთან ვივლი, რომ კუდიანებმა არ შემაშინონ. დედამ მითხრა, იმათ ბოლისა ეშინიათ, და კუდიანობის საღამოს, ¹⁾ როცა ყველა ეზოში ქიაკოკონას დაანთებენ, ისინი ღვთისმშობლის სამრეკლოში დაიშალებიან ხოლმე. აღდგომის ღამეს კისერა-მნათე წმინდა სანთლით რო ავა ზარების დასარეკად, კუდიანები მაშინვე აქეთ-იქით გაიფანტებიან, და, თუ სადმე მარტოკა ბავშვი მოახელეს, მაშინვე მოიტაცებენო. ერთხელ კისერა-მნათე უსანთლოდ ასულიყო; იმ წყევლებს ყელში წაეჭირებინათ და კინალამ არ დაეღრაოთ. თურმე მას აქეთ აქვს მას კისერი მოღრეცილი და თმა-წვერიც მაშინ გასთეთრებოდა შიშისაგან.

— აბა, მე წამოვალ და დამაკლონ რამე! მე ვიცი იმათი ხერხი. იმ წყევულს თურმე ცულისა არ ეშინია: რომ მოუქნევ, მაშინვე ყუაზე დააჯდება. იმასთან საომრად ხანჯალია კარგი: დავუქნევ თუ არა, მაშინვე ყუას ზემოდან დააჯდება. მე მაშინვე ქვემოდან ამოუქნევ ხანჯალს და შუაზე გაეპობ. ჯერ კი ვეცდები, რომ როგორმე ცოცხალს მივეპარო და ნაწნავი მივაჭრა. იმისი ნაწნავი ხომ თილისმაა. მაშინვე ქონებაანთ კაკალოს რომ ჩოხა-ახალოხი და ვერცხლის ქამარ-ხანჯალი აქვს, იმისთანებს ვინატრებდი!

¹⁾ დიდს ოთხშაბათს.

— დედამ მითხრა, სააღდგომოდ ისე უნდა მოგროო, როგორც დედოფალიო: უნდა შლიაპაც მიყიდოს, ლენტის-ლექსო, შენ კი არ უნდა გიყიდოს დედაშენმა ხალათი? იცი, ეგ ხალათი ძალიან ვაგცვეთია და აღარ გიხდება. აყიდვინე, უთუოდ აყიდვინე!

— ვაყიდვინებ მაშ,—სთქვა ლექსომ და ჩაფიქრდა. იცოდა, რომ დედას რაც ხაზინიდან ფული გამოუვიდა, ¹⁾ სულ მოვალემ წაიღო და იმდენიც აღარ დარჩათ, რომ სააღდგომოდ პირი გაიხსნილონ; მაგრამ მოავონდა დედის დაპირება: ოღონდ საქონელს კარგად მოუარე, ნუ მოამშვევ, ნუ მოაწყურებ, თავ-თავის დროს დაუურვე და სააღდგომოდ გასპარასაგან ნისიად გამოვირთმევ სახალათესო. ის არამც თუ ასრულებს დედის სიტყვას, ტყიდან მარტოკასაც კი მოაქვს შეშა, როგორც დიდ კაცს: წისქვილშიაც ხომ ამას წინად ერთი საცალო პური თავად წაიღო, დაფქვა და მოიტანა ურმით; ამიტომ მას ახლა ხალათი კი არა, კარგი ჩოხა-ახალოხიც შეპშევნის.

— ჩოხა-ახალოხი უნდა ვაყიდვინო, — დაუმატა ცოტადუმილის შემდეგ ლექსომ: — მაშიჩემის ხანჯალსაც შემოვირტყამ და ისე წამოვალ ევლოგიაზე. ახლა კი მშვიდობით. დინგანთ პეტრესთან ვარ მიმდგარი დღის მეზრედ; ხვალე ჩემი ალო უნდა ვხნათ და უთენებლივ მინდა ჩაურეკო ჩემი ირმა და ნიკორა, რომ ნახნავს ბარაქა დავდოთ.

— მაშ წამოხვალ ჩვენთან ევლოგიაზე?

— წამოვალ მაშ, უსათუოდ წამოვალ, — მიამძახა ლექსომ და, რომ მაიკოსთვის ეჩვენებინა, რომ ის ახლა მისი ტოლი კი არა, ნამდვილი მეზრეა, შოლტის ტყლაშუნით და გუთნურის ლიღინით გამოტრიალდა შინისკენ.

¹⁾ სათადარიგო ჯარისკაცთა ოჯახებს ხაზინიდან ფულად დახმარება ექლევათ.



II

ლექსოს მამა ნიკო ღონიაშვილი სათადარიგო ჯარისკაცი იყო. ბიჭობაში სოფელ შ—ში მას ბადალი არა ჰყავდა სიმღერა-თამაშობასა და კიდაობაში. სამხედრო სამსახური რომ გაათავა, დაცოლშვილიანდა და, რაკი გლეხის მძიმე უღელში შეება, მისი მზიარული საცეკვაო ღ საკიდაო სიმღერები ურმულ და გუთნურ სვედიან ღიღინზე შეიცვალა. ოთხი შვილის მამა გახდა; უფროსი ვაჟი ლექსო უკვე მეცხრეშია; სხვები, რომ იტყვიან, კოკბებივით ერთმანეთს მოსდევენ. გამოცხადდა თუ არა ომი, ნიკო, როგორც სათადარიგო ჯარისკაცი, სხვებთან ერთად გერმანიის საზღვარზე გაგზავნეს. ჩავარდა მისი საყვარელი მართო დარდასა და ბოროტში: ქმარი იჩივლოს, თავი, თუ უსუსური შვილები!.. ვინ მიჰხედავს, ვინ უპატრონებს?!..

ღლიდან ომის გამოცხადებისა ჯერ ორი თვეც არ გასულიყო, როცა სოფელში ხმა დავარდა, ნიკო ღონიაშვილმა ომში თავი ისახელა: იერიშის დროს პირველი შეხტა მტრის სანგარზე, ბევრს გერმანელს დაუბნელა მზე, მეზობატრეს დროშა გამოსტაცა ღ ის იყო—თავის რაზმის სარდლისთვის უნდა მიერთშია, როცა მტრის ტყვიით დაფარცხავებული დაეცა მიწაზე ღ ძვირფასი ალაფი სულთმოზობრძავემა და ჩააბარა თავის უფროსსაო. ამას იწერებოდა შ—ელი, ჯარისკაცი, რომელსაც ყველა ეს თავის თვალთ ენახა. მეზობლები ჯერ კი უმაღლედნენ მართოს ქმრის სიკვდილს, მაგრამ იფიქრეს, როდემდის უნდა იყოს სულ-აუხსნელი: 1) წერილი რომ აღარ მოუვა ქმრისაგან, ხომ მაინც ვაიგებს მის სიკვდილს და სჯობია ახლავე უთხრათო. ბედისაგან გამწარებულმა და დასჯილმა მართომ ახლა თავისი თავი თითონ დასაჯა: მომავალი მოსავალი ჩალის ფასად დააგირავა და ისე გადაუხადა ქმარს რიგი.

ამის შემდეგ გავიდა რამდენიმე კვირა და მართოს ანაზღვეულად წერილი კი მოუვიდა ქმრისაგან. იწერებოდა: ბრძო-

1) სულ-აუხსნელი—უპანაშვიდოთ და უქელეზოთ დასაფლავებული.



ლაში რამდენიმე ადგილას დამკრეს, მძიმე კრილოზმ-მარტო
ერთი მაქვს—ჰკერდში, და ისიც ღეთის იმედით მალე მომირ-
ჩებოა; სიმამაცისთვის გიორგის ჯვარი და უნტერ-აფიცრობა
მიბოძეს და ახლა ღმერთს მარტო იმასლა შევთხოვ, რომ მა-
ლე მაჩვენოს თქვენი თავიო.

სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა მართო. ხუმრობა
საქმე ხომ არ იყო: ქმარი მოკლული ეგულებოდა, და დღეს
თუ ხვალ დაჯილდოვებული კი უბრუნდება სახლში. სამწუ-
ხაროდ, ხანგრძლივი არ გამოდგა მართოს სიხარული: სწო-
რედ ბზობის დღეს მიიღო ქმრისაგან მეორე წერილი, რომელ-
შიაც სწერდა, რომ სრულიად განთავისუფლდა კრილოზმბი-
საგან და ხელმეორედ გზავნიან მას ომში. ქმრის პირველ
წყაყანაზე ისე არ შემოჰყრია მართოს გულს, როგორც ამ
წერილის მიღებაზე. ტირილსა და მოთქმაში გაატარა მან მთე-
ლი ჯვარცმის კვირა. შეიღის ხალათი არც კი გაჰხსენებია.
ლექსოც ძალიან დაადონა მამის მეორედ ომში წაყვანამ.
ახალი ჩოხა-ახალოხი თავიდან კი არ შორდებოდა, მაგრამ ამის-
თანა დარდიან გულზე დედას დარდს როგორ მოუმატებდა,
როცა იცოდა, რომ მას ჩოხა-ახალოხისა კი არა, უბრალო
ხალათის ფულიც არ გააჩნდა.

III

აღდგომის ბნელი ღამეა. შ—ის ღეთისშობლის ეკლე-
სიის გაღვივებაში აუარებელ ღამის-მთეველს მოუყრია თავი.
აქა-იქ დაუგზიზგიზებიათ ვეებერთელა კოცონები და მათ სინა-
თლებზე ახალგაზდა ქალ-ვაენი ცეკვა-სიმღერით თავს იქცე-
ვენ. ცას გადაჰყვრია შავი ღრუბლების სუდარა, რომელიც
ცელქ ნიავს ალაგ-ალაგ აუნაოკებია და მწყობრ ნაკეცებად
დაუწყვია. ღრუბლის ნაკეცებიდან მორცხვად გამოიყურებიან
ვარსკვლავები და თავიანთი ციმციმით ქრისტიანთა სააღდგო-
მო სამზადისს თანაგრძობას უცხადებენ. შუალამემ მოატანა.
ღამის მთეველნი და ევლოგიაზე ახლად მოსულნი მალი-მალ



სამრეკლოსკენ იყურებიან: აცა, ან ახლა ჩამოჰკრავს ზარს კისერა-მნათე და ან ახლაო.

— აგერ, მობრძანდება, მობრძანდება!—ისმის ხმა და რამდენიმე მლოცველი მირბის, რომ მოხუც მამა იოვანეს ცხენიდან ჩამოსვლას უშველოს. ერთი წუთიც, და ისტორიულ კოშკიდან, რომელიც ძველად სამშობლოს მტერს ბევრჯელ თავგანწირვით შებრძოლებია, და ახლა კი ჟამთა ვითარების გამო სამრეკლოდ გადაქცეულა, გამოჩნდა სინათლე და გაისმა პატარა ზარების წკრიალი. მლოცველები, როგორც ერთი კაცი, ქუდებს იხდიან და სასოებით პირჯვარს ისახავენ. პატარა ზარების წკრიალს მოჰყვა დიდი ზარის ბოხი ხმაც, რომელმაც თავის გუგუნში შეახვია შრომის შეილთა უბირი ლოცვა და აღუვლინა შემოქმედს.

დაიწყო ლიტანია. თავის დედ-მამასთან ერთად ღამის სათევად მოსული მიიკო ბავშვებში ამოდ ათვლიერებს ლექსოს. დედის კალთაზე მიჯაჭვეულს მას ტოლებთან ყოფნა ურჩევნია; მაგრამ ლექსო არსადა სჩანს; სხვებთან კი დედა არ მისცემს ნებას, რომ წავიდეს. ლიტანიის შემდეგ მლოცავთა უმეტესი ნაწილი ღვთისმშობლის ფართე ტაძარში შევიდა, უმცირესი კი, ეკლესიაში უადგილობის გამო, კარების პირდაპირ დამდგარა და ისე უსმენს ღვთისმსახურებას. სამრეკლოზე ასულან ბავშვები, რომელნიც პატარა ზარებს განუწყვეტლივ აწკარუნებენ და მით თავიანთ სარწმუნოებრივ აღტაცებას გამოსთქვამენ. ირგვლივ სიბნელეა; მხოლოდ მიცვალებულთა საფლავებზედ ანთია სანთლები, რომ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას საიქიოს ისინიც ბრწყინვალედ შეხედნენ. თითქოს ბაუბაყ დევს თავისი უზარმაზარი ლაბტით ცა დაუბერტყია და ვარსკვლავები ძირს ჩამოუყრიაო, ისე ლაპლაპებენ სანთლები ეკლესიის ვარშემო ვეებერთელა სასაფლაოზე. სხვა მლოცველებთან ერთად კარებთან დამდგარა ლექსო, მოწიწებით იწერს პირჯვარს და ევედრება ღმერთს, რომ

მერმის სააღდგომოდ ასეთი დაძნედილი ხალაითთ მღერობის
 დეს ევლოგიაზე წამოსვლა.

გარედ ჯერ კიდევ სრულიად ბნელოდა, როდესაც მღვდლ-
 მა უკანასკნელად ჩამოილოცა და მლოცველთ ქრისტეს ბრწყინ-
 ვალე აღდგომა ახარა. ჯვარის მთხვევის შემდეგ ხალხმა ნელ-
 ნელა იწყო გამოსვლა ეკლესიიდან. ლექსო ახლაც არ შევიდა
 შიგნით, რადგან სანთლებით გაჩირაღდებულ ტაძარში მის და-
 კონკილ ხალათს ყველა დაინახავდა. უფრო კი არ უნდოდა
 ენახა ის ამ სახით მაიკოს, რომელსაც ამ ორი კვირის წინად
 პირობა მისცა, რომ ჩოხა-ახალოხში გამოწყობილი და ხანჯ-
 ლით შეიარაღებული აღდგომის ღამეს მას მცველობას გაუ-
 წევდა. ხალხი ნახევარზე მეტი გამოსული იყო ეკლესიიდან,
 როდესაც გამოჩნდა თავისი დედის გვერდით მოზავალი მაიკო.
 ხელებში მას თითო წითელი კვერცი ეჭირა, და ხან ერთს
 მიიტანდა კბილებთან და ხან მეორეს. კუდრაქას უნდოდა
 კირკიტი კვერცხით ლექსოსთვის მიელოცა აღდგომა, რომ მერე
 დაეკრათ კვერცხები და მეორეც იმას დარჩენოდა. „იმაზე რომ
 ნამდვილი ურემი მაჩუქა, ეს იმაში!“ ფიქრობდა იგი. ამ დროს
 მან კიდევ შეასწრო თვალი ლექსოს ეკლესიის კარებში და
 გაექანა მისკენ.

— ქრისტე აღსდგა, ლექსო! აი, წითელი კვერცი მო-
 მილოცნია!..

ლექსო ციბრუტივით შემოტრიალდა და შევარდა სამ-
 რეკლოში. მაიკოს ეგონა, ლექსომ ვერ დამინახა და სამ-
 რეკლოზე სხვა ბავშვებთან ერთად ზარების დასარეკად მიდისო
 და თვითონაც გაედევნა უკან. აღის სამრეკლოს კბეზე და
 თან შიში ეპარება გულში. კედელში დატანებულ მიხვეულ-
 მოხვეულ კბეში ჯოჯოხეთივითა ბნელა; შიგა-და-შიგ საფე-
 ხურები ჩამონგრეულა და მაიკოს ხშირად ფოფხვით უხდება
 ასვლა: ყოველ წუთს შეიძლება დაუსხლტეს ფეხი და ძირს
 გორგალივით ჩამოგორდეს. მაგრამ მაიკო არ უდრკება არა-
 ფერს: იცის, რომ აღდგომა ღამეს სამრეკლოდან კუდიანები

აქეთ-იქით იფანტებიან; თან მას ამხნეებს მალლა სამრეკლოზე ბავშვების ჭრიაბული და ზარების რეკა. ბოლოს, როგორც იყო, მიაღწია საწადელს; მაგრამ, ამოჰყო თუ არა თავი უკანასკნელ სართულში, სადაც ზარები ეკიდა, ბავშვებმა საშინელი ღრინაცვლი შექმნეს.

— უი, გადავარდა! გადავარდა!

— კი არ გადავარდა, კუდიანმა მოიტაცა; ვერ დაინახე რალამაც როგორ შემოჰხვია ხელები!

სამრეკლოზე მყოფმა ბავშვებმა იგრიალეს და ტირილ-ყიჟინ-ბლავილით კიბეს ეცნენ. წინანი სკულილობდნენ ჩქარა ჩამოსულიყვნენ დაბლა ჩამოვარდნილ ლექსოს სანახავად; უკანებს აშინებდა მარტოკა მალლა დარჩენა და სიჩქარისაგან კი არ ჩამოდიოდნენ კიბეზე, უფრო მოფოფხავდნენ ხელებით და ფეხებით.

ბავშვების ყიჟინას ხალხმა ყურადღება მიაქცია და სამრეკლოსაკენ მიზეზის გასაგებად გაექანა.

— რა იყო, რა მოხდა? კითხულობდნენ მოსულნი.

— ლექსო გადმოვარდა მალლიდან, აი, ღონიანთ ლექსო!

— რას მიჰქარავთ: თუ გადმოვარდა—რა იქნა? აქ არაფერია!

— ჰო, მე რომ ვთქვი: კუდიანმა მოიტაცა—მეთქი!—ისმის ერთი ბავშვის ხმა:—მე ჩემის თვალით დავინახე, როგორ შემოჰხვია ხელები იმ წყეულმა და მერე ორივენი გაჰქრნენ.

შეიქნა ვაი და ვუის ძახილი. რამდენიმე გულშემატკივარი, თუ ცნობის მოყვარე, ავარდა მალლა, რომ გამოერკვია მიზეზი ლექსოს სამრეკლოდან ასე უკვალოდ დაკარგვისა. ასვლის უშალვე ერთმა მათგანმა რალაც რბილს წამოჰკრა ფეხი.

— აქ არის, აქ არის!—შესძახა მან.

გაჰკრეს წუმწუმმა და შიშისაგან აკანკალებული და კბილებ-შეკრული მაიკო კი დაინახეს. მას ორივე ხელში თითო წითელი კვერცი ეჭირა, რომლებიც მაგრად დაებლუჯა და გულზე მიეკრა. სწრაფად ჩამოიყვანეს დაბლა და ყურის წვეთა და სახეზე წყლის ჰკურებით ძლივს დაამშვიდეს.



— ი წყეულებს ამის მოტაცებაც სდომებიათ, ლეგსონებში რომ აღდგომის ნაკურთხი კვერცხები დაუნახავთ, ახლოს ველარ მიჰკარებთან, — სთქვა ერთმა.

ეს მოსაზრება ზოგმა ჰო-ჰოს ძახილით დაადასტურა და ზოგმა — დუმილით. ლეთისმშობლის სამრეკლოდან ლეგსოს კუდიანების მიერ მოტაცების ამბავი მალე მთელ სოფელს მოეფინა. გამწარებული მართო მთელი დღე გიესავით დარბოდა სოფელ-სოფელ და, ვისაც შეჰხედებოდა, ჰკითხავდა, — ჩემი ლეგსო ხომ არ გინახავთო; მაგრამ ამაოდ, — მისი მნახავი არავინ გამოჩნდა. ტირილისა და სირბილისაგან მოქანცული მართო მხოლოდ სამხრობისას დაბრუნდა შინ, სადაც მას ახალი ელდა ელოდა: მოაგონდა, რომ კამეჩები გუშინ სალამოდან გომურში მშვიერ-მწყურვალნი არიან დამწყვდეულნი და ეცა გამოსაშვებად, მაგრამ გომურის კარი ღია დაჰხვდა და შიგ აღარც ირმა იყო და აღარც ნიკორა. მართომ, დარწმუნებულმა, რომ მის ოჯახს ავი სული დაეპატრონა და ლეგსოც და საქონელიც იმისი მსხვერპლი შეიქნა, მაგრად წაიშინა თავსა და პირში და ცემისგან დაოსებული მეზობლებმა ცოცხალ-მკვდარი-ღა შეიტანეს სახლში.

გულშემატკივართ ცბიერაანთ მკითხავი ჩამოიყვანეს ლეგსოს ამბავის გასაგებად, მაგრამ, რაკი მისი დედა გრძნობა მიხდილი დაუხვდა, ნახშირითა და ქიტა დანით¹⁾ დაუწყო მას „უემურის“ ლოცვა. დამსწრენი მკითხავის ლოცვას სულგანაბულნი უგდებდნენ ყურს. მხოლოდ სამნი მკირეწლოვანი და-ქმანი არ სცხრებოდნენ და „დედა, დედას“ ძახილით გულსაკლავად ქვითინებდნენ. ამ დროს გაისმა გომურის კარის კრიალი და ლეგსოს ხმა: „ზიო, ირმავე, შე ქედ-ნაკურთხო, შენა“! ყველანი გარედ გამოცვიდნენ. გულწასულმა მართომ ამ ხმაზე თვალები გააქციტა, წამოიქრა ფეხზე და ხელებ გაწვდილმა დაიყვირა:

— ლეგსო! სადა ხარ, შეილოო ლეგსო?!

¹⁾ დანა. რომელიც არ იკვეცება.



კარებში შეეხება ლექსო, რომელსაც მან წელსვე შეხვდა. მან
შემოაქლო და მავრად ჩაიკრა გულში.

— სად უნ—და ვი—ყო?! ირ—მა და ნი—კორამყვან—და
ტყე—ში ნე—კერ—ზე!—ნაწყვეტ—ნაწყვეტად უპასუხა ამ არა-
ჩვეულებრივი დახვედრით განცვიფრებულმა ლექსომ.

— მაშ სამრეკლოდან არ გადმოვარდი? კუდიანებმა არ
მოგიტაცეს?—ეკითხება დედა.

— კი არ გადმოვარდი, დიდი ზარის თოკს ჩამოვყე დაბლა.

— უი, მოგიკედეს დედა, შეილო: რა ძალა გედგა, რომ
მაგისთანა განსაცდელში ჩაგდე შენი თავი?

— ის ძალა მედგა, რომ...—წაილულლულა ლექსომ და
დანარჩენი სიტყვები ტუჩებზე შეაშრა: სცხვენოდა ეთქვა, რომ
სამრეკლოზე მაიკოს შეხვედრას მოერიდა, რადგან პირობა
დაარღვია და ჩოხა-ახალოხში გამოწყობილი და შეიარაღებული
მასთან ერთად ევლოგიაზე ვერ წავიდა.

დ. ძეძამიძე.





მწყემსის წერილები

(დასასრული)

წერილი მეთექვსმეტე

საზარელი შემთხვევა.



მაო მიხაკო! ფირო მომიკლეს, და იშლება ჩემი ახალი ბუდე.

გუშინ წინ ბინა ავყარეთ და მთაში მივდიოდით. შაქრო ბინას გავაყოლეთ, რათა ჩვენ მისვლამდის ყველაფერი გაეკეთებინა. მე, საწყალ ფიროსა და ზალიკოს ძროხა მიგვიდიოდა. ღამე შარა გზასთან მოგვიხდა დადგომა. ძალიან დაღლილი ვიყავი და დამეძინა. ზალიკოს ხბოიანი

ფური ასცდენოდა ძროხას და მოხუცი იმის საქმბნელად წასულიყო. შუალამისას შემომესმა ბურანში ძაღლის ყეფა. ცოტა ხანს შემდეგ თოფიკ გაეარდა. საჩქაროდ წამოვხტი, მაგრამ ვერ გამოვერკვიე, რა ამბავი იყო. ცოტაოდენი ძროხა ისევ თავის ალაგას ეყარა; დანარჩენი ბაღაზზე გაშლილიყო. ძაღლები-კი შორს მირბოდნენ ყფით. თვალების ფშენებით გავიქეცი ძაღლებისაკენ; გზა-და-გზა ვხდებოდი ბაღაზზე გასულ ძროხებს. დაუძახე ფიროს, მაგრამ ხმა არ მომცა. შორს რამდენიმე ცხენოსანი მიაქენებდა ცხენს, რომელთაც ძაღ-

*) იხ. „ნაკადული“, № 5.



ლები წამოეწივნენ. დაუყვირე—ვინა ხართ მეთქი. ჩემსკენ თოფი გამოცალეს. ძაღლები დაფრთხნენ და წკმუტუნით ზევით გაიქცნენ, სადაც ღმუილს მოჰყვნენ. მე მივხვდი, ვინც იყვნენ ის ცხენოსნები, მიწაზე წავწყექ და რამდენჯერმე ვესროლე თოფი, მაგრამ ტყვიები უშედვეგოდ დაიკარგნენ ღამის წყვილიაღში.

ამ დროს შემომესმა კენესა. თმა ყალყზე ამიდგა. წამოვხტი და ფიროს დაუძახე. ოღნაე მომესმა: „მიშველეთო“. ძაღლები წკმუტუნით მოცვივდნენ ჩემთან და წინ გამიძღვნენ. გულგახეთქილი გავიქეცი და ვნახე: ფირო რუში ეგდო, კენესოდა. თავზარ-დაცემული მივვარდი, წამოვწყვი და შევეკითხე:—რა დაგემართა, ფირო, რა დაგემართა?

—რაღა რა დამემართა: ტყვია მომარტყეს, —სთქვა მან და ხრიტინით ამოუშვა კენესა. თავი წამოუწიე, მკერდზე მივიწვინე. კრილობიდან სისხლი სდიოდა. კრილობაზე ხელი მივაფარე, არ დაკლილიყო სისხლისაგან. ძაღლები წკმუტუნითა და ღმუილით დაგეტრიალებდნენ ორივეს. ისინიც გრძობდნენ უბედურებას.

—შუალამისას, —დაიწყო ფირომ, —ძროხის ერთი ფარა წამოშლილიყო და საძოვარზე გამოსულიყო. მე გამომეღვიძა. ავდექი და გამოუდექი მოსაბრუნებლად. კარგა მანძილზე გამოსულიყვნენ... მაგრამ ვიღაც ცხენიანებმა დაუშინეს და მიუდიოდათ... მე გამოვეკიდე... თავი დაანებეთ საქონელს-მეთქი. ერთი მათგანი მომიბრუნდა და თოფი მესროლა... რაკი შეიტყეს, —ტყვია მომხვდა, საქონელს თავი დაანებეს, თოფი მომხსნეს და გაიქცნენ... ძაღლებმა გვიან გაიგეს... იოსებ, ძალიან ცუდათა ვარ... ველარაფერსა ვხედავ... ველარც ვგრძობ რამეს... უეჭველად მოვკვდები... ჩემს მაგივრად თქვენ იცოცხლეთ... მოდი, გაკოცო... ზალიკოსაც აკოცე... შაქროსაც... სონასაც...

მაგრად ჩავეკარ და დიდხანს არ გამოვრკვეულვარ. სიზმარში მყოფსავით ვგრძობი, როგორ ნელ-ნელა ცივდებო-



და ფიროს ტუჩები და ყუჩღებოდა მისი გულის მგერა-ნამკუ-
 ღამოდ. ჩემ ბაგეს მოსწყდა იგი, როგორც დაუმწიფებელი ხი-
 ლი თავის შტოს. სამუდამოდ გამოვეთხოვე საუკეთესო მე-
 გობარს და ადამიანს. ჩემს იმედის ხეს მოსწყდა ერთი ფო-
 თოლი, რომელიც მამცნევს ჩემი ცხოვრების მეორე შემო-
 დგომას.

გახსოვს, მიხაკო, ჩემი ამხანაგები, როგორ თითო-თითოდ
 მშორდებოდნენ. ჯერ ქრისტეფორე დამშორდა, შემდეგ ვასო,
 შემდეგ ვანო და ბოლოს შენც.

დასრულდა ჩემი მეგობრიანობა და დაიქცა ყრმობიდან
 ნაგები კოშკი იმედებისა. ნუ თუ ახლა ფიროს უდროო სიკვ-
 დილი მომასწავებელია ახალი იმედების სამუდამოდ დამსხვრე-
 ვისა, განადგურებისა? ესტირი, ესტირი და ვკეითინებ, თან
 ვსწყველი ჩემი გაჩენის დღეს.

წერილი მიჩვილებზე

ახალი ბინა და მოწყობილობა.

დავმარხეთ ფირო. მოყვასთა და ნათესავთა ქვეთინი
 ჰაერს აპობდა და შორს გაისმოდა გლოვის ზარი. მზე უბე-
 დურებისა ჩაესვენა, მაგრამ თან არ ჩაიტანა ქვეთინი, მწუხა-
 რება და სევდა ადამიანთა. ზალიკო ბავშვივით ჩუხჩუხებდა.
 რკინასავით გულმაგარი შაქრო ხმა-მაღლა ქვეთინებდა. მე?..
 მე ჩამომდიოდა ცრემლი და ვფიქრობდი: ფირო აღარ არის,
 აღარც იჭნება, ველარსად შეხვდები, ველარ გავიგებ მის აღე-
 რსიან და ძმურ, სიყვარულით სავსე სიტყვებს. ერთმანეთს
 ველარ გაუნდობთ საიდუმლოს და ველარ გავიყოფთ ქირსა
 და ლხინსა. ის აღარ არსებობს და აღარც იარსებებს. უბე-
 დური ვარ, უბედური!

ფიროს დამარხვიდან ერთი კვირა მეტია ჩვენს ბაგეს
 მზიარულება არ მიჰკარებია და თვალს არ გამოუდარნია. ფი-



როს მაგივრად ერთი პატარა ბიჭია ძროხაში. კვირასე შეტია, რაც აქ არის ეს ბიჭი, მაგრამ არც სახელი ვიცი მისი, არც გვარი და არც წლოვანება.

წერილი მეთვრამეტე

პატარა მწყემსი

მე და შაქრო უბედურებამ ერთმანეთს უფრო დაგვაახლოვა. უმისოდ ველარსად მივდივარ. შაქროს დაედო ფასი და ახლა ფიროს მაგივრადაც შაქრო მიყვარს.

ფიროს მაგივრად რომ პატარა მწყემსია, დღეს გავიგე, — სანდრო რქმევია. ამის მეტი მე იმისი სხვა არაფერი ვიცი. მხოლოდ დილას ყური მოგვკარ მის სალამურს. დიდხანს ვისმენდი და ბოლოს ცრემლებიც წამომცვივდა...

* *

მშვენიერი ღამეა. მთვარე კაშკაშებს. ვარსკვლავნი კრთიან. მკრთალ შუქზე გაწოლილი ხეთი აჩრდილნი მღუმარებენ. მთის ნელ სიოს ყვავილებში ჩასძინებია.

ზალიკო ბინაზეა... ჩვენ სამნი: — მე, შაქრო და სანდრო, ძროხის საყარზე ვართ, სადაც დაწველის შემდეგ გავრეკავთ ხოლმე ღამე ძროხას...

— შაქრო!

— რა, იოსებ?

— რა მოწყენილია ეს ღამე!

— მართლა მოწყენილია...

— არაფერს მაგონებს ეს ღამე?...

— როგორ არა, ბევრს რასმე მაგონებს, ბევრს. მაგონებს ჩემს ყმაწვილობას, რომელიც ასეთი ჩუმი და სევდიანი იყო, როგორც ეს ნათელი ღამე. მე ხომ სულ გარედ გავიზარდე. კარგად არც კი ვიცი — ჩვენ სახლს პირი საითკე-

ნა აქვს. მე სიობლეში გავიზარდე. ხალიკომ გამზარდა; ხალიკო იყო ჩემი მშობელი; ეგ სულ ძროხაში იყო, და მეც მას არ მოვზორებდით. შენ ცხრა თვეს არა მხედავდი თვალთ და არ იცოდი, რა ამბავი ხდებოდა ჩემს თავს. ბევრი სიმწარე, ბევრი მწუხარება გამომივლია მე აქ... ამას მაგონებს ეს მთვარიანი ღამე, მკმუნვარე ღამე!.. ხან ვინა მყავდა ამხანაგად, ხან ვინა, მაგრამ ვერც ერთი ვერ შემრჩა ბოლომდე. ნეტავ ჩვენ, ძმები, მაინც შევრჩეთ ერთმანეთს ბოლომდე.

— მეც მაგას მაგონებს, ჩემო ძმაო შაქრო, ეს ღამე. მეც არავინ შემრჩა მეგობრებიდან; მეც ბევრი ტანჯვა გამომივლია, უპატრონობა, უსახსრობა, ათასნაირი გაჭირვება და ვინ მოსთვლის, რა არ იყო ჩემს თავს... მეც ამას მაგონებს ეს მთვარიანი ღამე. როგორც ეს ღამე ნათელია, მდუმარე და მოწყენილი, ისე ჩემი სევდა, ისე ჩემი წარსული ნათელია, მდუმარე და მოწყენილი... ბიჭო, სანდრო, აბა ერთი მოდი აქა და დაუკარ ეგ სალამური. ნურაფრის შეგრცხვება: გაბედვით დაუკარი.

— რისა უნდა შემრცხვეს, — წამოიძახა სანდრომ და მოცოცდა ჩვენთან.

სანდროს დიდი, შავი, ნაღვლიანი თვალები აქვს. რაც ვხედავ, მის ბაგეზე ღიმილი არ დამინახავს. აღბად ამასაც ბევრი რამა აქვს სამწუხარო, გულში დაფარული, რომელსაც სალამურს ათქმევენებს ხოლმე.

სანდრომ ამოიღო ქამარში გარკობილი სალამური და ჩაპბერა. თქვენ არ გეგონათ ეს ბევრი თვლებით შემკული და ოქრო-ვერცხლით შექედილი სალამური იყოს. არა, ეს უბრალო, ხის სალამურია და მხოლოდ ექვსი თვალი აქვს... აკვენესა სანდრომ სალამური!.. ათას უბედურებას თუ ხედავს თვალი, ათი ათასს ვერა, ხოლო სალამური ყველას გვასმენს და ყველას გვაჩვენებს. მისმა სევდიანმა ხმებმა ამიჩუყეს გული და მაგრძნობინეს ტანჯვა, რომლითაც იტანჯება მთელი ქვეყნიერება დასაბამიდან. თითქო სანდროს ჩაბერვა სალამუ-



რის კედლებს კი არა ჰხედებოდა, მთელი ქვეყნიერების ტანჯულ და გვემულ სულთა გულში მწუხარებისაგან დაქიმულ სიმებს ეხებოდა.

სანდრო უკრავს და თვითონვე განიცდის, რასაც უკრავს. მისი დიდრონი, გიშრის ფერი თვალები ერთ წერტილს მისჩერებიან და ნალვლიანად ელავენ მთვარის მკრთალ შუქზე.

ცა, მთა, ტყე და მთელი მსოფლიო სდუმს, თითქო უსმენს სალამურის ტკბილ კენესასაო.

წერილი მაცხარებებში

მერცხალა კამეჩი.

სალამოს დაწვევლეთ და ხბორები დავარჩიეთ. დაბნელდა. გულმა მიგრძნო, რომ ზაქებში ერთი უნდა ჰკლებოდა. მივიტანე მუგუზალი სახბორესთან და თვალღებება დაუწყე ზაქებს. მერცხალას ზაქი აკლდა. დავლონდი, მაგრამ რაღას უშველიდი. ღამე საშინლად ბნელი იყო, თუმცა ვარსკვლავები ციმციმებდნენ ცაზე. შეაქრომ მითხრა, ჩვენ რო ვწველიდით, მაშინ მოიპარავდა კამეჩი ზაქსაო. თან გული დაიიმედა, არა უშავს-რა-კამეჩს მგელი ვერ მოფრევა და არც ზაქს შეაქმევივებსო.

შუა ღამისას ადგა ქარი. ამოიტანა უზარმაზარი ღრუბლები. ათასგან გადაირღვა ცის თალი. დაიქექ-დაიგრგვინა ცამ და დაუშო მსხვილი წვიმა. ტყემ ხუილი მორთო და დაიძრნენ ხეები, რომელნიც დიდრონ ხეებსა გლეჯდნენ და მოაქანებდნენ მინდვრებში გასარიყად. ქობში ჩამოატანა წვიმამ, ცეცხლი გაგვიქრო და თითონაც დაგვასველა.

მგელს უთქვამს: „შავს ღამეში ცხრა მთას იქით, შავს ნახნავში, შავს ციკანს დავინახავო“. ამიტომ მგელი იწევდა და ძაღლები განუწყვეტლივ ჰყეფდნენ. ჩვენ ხმას ვაძლევდით.

გათავდა. წვიმა შესწყდა, ქუხილმა გადაიარა და სადღაც შორს მისწყდა. ღრუბლებიც აიკრიფნენ და ცაში აქა-იქ ვარსკვლავები გამოჩნდნენ. ძალზე აცივდა და ცეცხლი დავანთეთ.



როცა გათენდა, მე და შაქრო წავედით მერცხლის ქვეშეშეკა
ჩის საძებნელად. ბევრი ვეძებეთ, ბევრი, და ბოლოს წავედე-
ქით ერთ ბურაბიანს, საიდანაც მოქანცული ბრძოლის ხმა
და ქშინვა გაისმოდა. ფრთხილად მივედით ახლოს და შემ-
დეგი სურათი დავინახეთ: მერცხალა კამეჩს ორი მგელი დას-
ტანებოდა და ზაქის გამოსაცლელად ებრძოდნენ. მაგრამ კა-
მეჩი ზედ გადაჰფარებოდა ზაქსა და წისქვილის ქვასავით ტრია-
ლებდა. კამეჩისთვის ცხვირის ნესტოები და ბარკლები შე-
მოვლრღნათ მგლებსა, ზაქი-კი უვნებლად გადაერჩინა დედას.

მგლებმა შეგვიტყეს და გაიქცნენ. როდესაც ხმა ამოვი-
ღეთ და ახლო მივედით, კამეჩი როყინით ჩვენსკენ გამოქან-
და, თავს გვაფარებდა, მაგრამ გვიანლა იყო, რადგან ის ვე-
ლარ გადარჩა. ზაქი-კი ახლაც კოცხალია. საწყალი პირუტ-
ყვი! თავი შესწირა თავის შვილს.

წარიღი მოცე

ძაღლები.

ტირილით მოვარდა პატარა მებზორე: ხზორები დაეკარ-
გე, ბევრი ვეძებე ტყეში, მაგრამ ვერ ვიპოვეო. წავედით მე-
და მებზორე საძებნელად. როდესაც ღრმად შევედით თაღ-
შეკრულ ტყეში, თვალი მოვკარ ძაღლს, რომელიც წამოდგა
და კუდის ქნევა დაიწყო. მის უკან ხზორები სძოვდნენ. ხზო-
რები რომ წინ წადგებოდნენ, ძაღლი აღგებოდა და წინ
მოუწვევბოდა ხოლმე. ხზორები გამოვრეკეთ და წამოვედით
ბინაზე, რადგან საქონლის მოსვლის დრო იყო და შემოგვეს-
მა კიდევ მათი ბლავილი.

როდესაც დავწველეთ, დავათვალიერეთ, და ერთი მშრა-
ლი ფური აკლდა.

— რა დაემართებოდა იმ ფურს, შაქრო? — შევეკითხე ძმას.
შაქრომ ბევრი იფიქრა და ბოლოს მხრების აშმუშნით სთქვა:



— რა ვიცი! აბა რა ვიცი—რა დაემართებოდა; მაგრამ საცა უნდა იყოს, აბა ახლა რას უშველით: დილაძე უნდა მოვიცადოთ.

მე საძალღე გავაკეთე. დაუძახე ძაღლებს, მაგრამ მხოლოდ ლომია ძაღლი მოვიდა. ვეძახე, ბევრი ვეძახე ალაშა ძაღლს, მაგრამ არსად გამოჩნდა. დავლონდი და დაფიქრდი. თუ ძროხა ქურდმა წაიყვანა, ძაღლი რაღა იქნა!—ვეკითხებოდი ჩემ თავს. ვერ მოვედი მაინც აზრს, თუ სად იქნებოდა ან ძაღლი და ან ძროხა.

იმ ღამეს მარტო ლომია ძაღლი ურბენდა ძროხასა და ძალიანაც ფრთხილობდა, რადგანაც მეგობარი ალაშა იქ არა ჰყავდა. სანამ ინათებდა, მე და შაქრო წავედით საძებნელად. მოვიქანცეთ ძებნით. გადავედით სხვა მთებში, ვინახულეთ თათრის ბინები, ვიკითხეთ ყველგან, მაგრამ ფრინველიც ვერა ვნახეთ მათი მნახველი. დავბრუნდით გულდაწყვეტილები.

— შაქრო,—უთხარი მე,—აბა მოდი რომელიმე სერზე შევდგეთ და დაუძახოთ ძაღლს: იქნება ძროხასთან იყოს. შაქროს მოეწონა ჩემი აზრი, ავედით საჯიხვე სერზე და გადასძახა შაქრომ იქიდან დიდი ტყეებით დაბურულ არემარეს. მთებმა ათასჯერ გაიმეორეს. ყური კარგა დაუგდეთ, მაგრამ ჩამიჩუმიც არსაიდან ისმოდა. კიდევ გადასძახა: ალაშ! ალაშ! უუუ, ჰაიე, ჰაიე!..

კიდევ დაუგდეთ ყური, და შორს, სულ ძალიან შორს, მთების გადაღმიდან ბუნდათ მოვიდა ძაღლის ხმა. შაქრომ მეორედ დაუძახა. უფრო გარკვევით მოგვესმა ძაღლის ხმა. კიდევ დაუძახა, და თითქო მოახლოვდა ყეფა. მერე მე დაუძახე, ახლა ისევ შაქრომ დაუძახა, ახლა მე, და ძაღლი ყეფით მოვიდა ჩვენთან.

შაქრომ უთხრა:—აბა, ახლა გაგვიძებ, ალაშ, და ფურთან მიგვიყვანეო. ძაღლი კულის ქნევით გაგვიძღვა წინ და



მიგვიყვანა ლაფში ჩაფლულ ძროხასთან. ორივემ მტკიცედ შეკავა ცუდ დაღლსა, ძროხა ამოვიყვანეთ და ბინაზე წამოვიყვანეთ.

* *

ქარმა შეატოკა მწვანე ოთახის სვეტები და წვიმა მოვიდა. საშინლად დაბნელდა. ადამიანი თვალ წინ აქლემს ვერ დაინახავდა. სადღაც მგელმა დაიღრიალა და საშინელი ზმუილი მთებმა გაიმეორეს. ძაღლები წამოცვივდნენ და შემოურბინეს საქონელს. მერმე აღარც ჩამდგარა მათი ხმა. ნადირმა ძალზე მოიწია. რამდენჯერმე თოფი დაეცალე, მაგრამ არ შეგვებუა. სჩანს—დათვი იყო. ერთი ძაღლი მარჯვნივ ურბენდა, მეორე მარცხნივ. ჩვენც გამუდმებით ხმას ვაძლევდით, რომ გული არ გასტეხოდათ.

დავსველდით. ჩემმა ძმამ თავისი ფარაჯა მომცა და მითხრა: ამას არ ჩამოსდისო.—არ მინდოდა მარტო მე ვყოფილიყავი მშრალი, და აპიტომ ჩემი ნაბადი ზალიკოს მივეცი. მე და შაქროკი ხეზე ჩამოვსხედით და ფარაჯა წამოვიხბით.

ირიყრაფა. დაღლილებს გვთვლემდა, მაგრამ ადგილი ნებას არ გვაძლევდა ძილისას. შაქრომ გადასწია ფარაჯა და მიმითითა ალაშა ძაღლზე: აბა, უყურე იმ ძაღლს—რასა სჩადისო. მივიხედე: ალაშა დაკუნტებული იყო ჩვენგან ცოტა მოშორებით და თავგანწირვითა ჰყეფდა. ამ ყეფაში უძილობისაგან დაღლილ თავს დააკანტურებდა ხოლომე, მაგრამ ისევ მსწრაფლ წამოხტებოდა, შემოურბენდა ყეფით ძროხას, მტერს აცნობებდა—ისევა მღვიძავსო, და ისევ იქ დაკუნტდებოდა.

მე თავი გავიქნიე, ამოვიოხრე და ვსთქვი:—ტყუილად არ უთქვამს ქართველ ხალხს,—ადამიანის კარგი მეგობარი ძაღლიაო.

წერილი მომცდავით

ძალლი და ცხვარი

ვილაცამ ცხვარი ჩამოატარა ჩენი ბინისაკენ. ერთი ცხვარი ასკილებში გაქედლიყო. როცა ფარა წასულიყო, გამოძვრა-ლიყო ცხვარი, მაგრამ თავისი გზა ველარ ეპოვნა. ჩვენ დანახვზე ფრთხილბოდა. შაქრომ სთქვა:—თუ არ დავიჭირეთ, დაიკარგება და ამაღამ მგელი შექაშსო.

ვეცადეთ დაგვეჭირა ცხვარი. ხან სანდრომ მოუარა, ხან ჩვენ, მაგრამ ვერ ვახერხებდით დაქერას. შემდეგ შაქრომ ალაშას დაუძახა. ძალლი მოვიდა.

—დაიქი!—უთხრა შაქრომ და მიუთითა ცხვარზე. ძალმა კული აიძუა და ისე უცქეროდა შაქროს, თითქო უნდოდა ეთქვა, ნუ ჩამადენინებ მაგასო. შაქრომ კიდევ უთხრა, —დაიქიო, მაგრამ ისეთი წკმუტუნი დაიწყო ალაშამ, თითქო ამბობდა:—ცხვარი მე უნდა დავიცვა ნადირისგან, და პირს როგორ წაეველებო.

შაქრომ ხმა-შემადლებით კიდევ უთხრა—დაიქიო. ძალლი გაიქცა, მაგრამ ახლოს რო მივიდა, პირი კიდევ ვერ წაეველო, უკან დაბრუნდა და მოშორებით დაწვა. შაქროს ბრაზი მოუვიდა, ფეხები დაუტყაპუნა და დაუყვირა—დაიქიო. ძალლი წამოდგა, გაქანდა, მკერდი ჰკრა ცხვარს, გადააგორა, და ზედ ფეხები დაიქირა. შაქრომ დაიქირა ცხვარი.

ალაშასა და ლომიას უყვართ შაქრო, მაგრამ თავს მოვალეთა სთვლიან ხელი არ ახლონ იმისთანა უმანკო ცხოველს, როგორც არის ცხვარი, არ გალახონ ეს სუფთა, უმანკოების გამოშხატველი პირუტყვი, მაშინ, როდესაც ღორს ერთი ვერსის მანძილზე არ გააქაქანებენ ხოლმე.

დღეს პატრონის გამო დამნაშავეა და ამიტომ დარცხვენით წავიდა ალაშა ბინაზე, რომ ამგვარი საქმე მეორედ არ ჩაადენინონ.

რა კეთილი პირუტყვია ძალლი!



წერილი ოცდაათობა

შაქრო და ომი.

დღეს ბიკი ამოვიდა სოფლიდან და შემდეგი ამბავი ამოიტანა: შაქრო უნდა თელავში გამოცხადდეს ხეალ დილითაო.

— რათა, ბიკო? — შეეკითხა შაქრო.

— მამასახლისმა ბრძანა, — მიუგო ბიკმა.

— შერე რათა, რად უნდა გამოცხადდეს თელავში?

— მამასახლისმა სთქვა, და იმიტომ.

— მარტო მე უნდა გამოცხადდეს?

— არა, სხვებიც.

— შერე, სხვები რილასთვის?

— იმისთვის, რომ ჩვენ ხელმწიფეს ვილაცა ხელმწიფე ეომება და სათადარიგო ჯარის კაცები ვინც არიან — ომში უნდა წავიდნენ.

ყველანი დაფიქრდით. ფიქრმა ზოგს გზაში მოასწრო, ზოგს ასადგომად წამოწვეის დროს, ზოგს მაშინ, როცა ქალამნებს იცვამდა, ზოგსაც იმ დროს, როცა წყალი პირისაკენ მიჰქონდა დასალევად და ყველანი გაშეშდნენ. ყველასა და ყველაფერს მწუხარება დაეტყო.

ძლივს გამოერკვივნენ ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ და ყველამ დაწყებული მოძრაობა უხერხულად და უხალისოდ განაგრძო.

— თელავი აქედან ახლოა: დილაზე ჩავირბენ, — სთქვა და ისევ ფიქრს მიეცა ჯობზე დაყრდნობილი შაქრო.

დიღხანს იღვა ასე ქობზე ცოტა მოშორებით, ვიდრე არ გამოარკვია იგი ლომია ძაღლმა, რომელიც მივიდა და შესწკმუტუნა ლაქუციით; თითქო ეკითხებოდა — რა გეწყინაო? მივიდა ალაშა ძაღლიც, ზედ აახოხდა, უნდოდა სახეზე მისწდომოდა, და რო ვერ მისწვდა, იმანაც შესწკმუტუნა; ანიშნა, დაიხარე — უნდა ყელში სანუგეშოდ ჩაგებუტოო. შაქრომ



ორივე ძალი ჩაიხუტა აქეთ-იქიდან და ცრემლებს ვივღა. ვინ იცის—კიდევ ჰნახავს? დაბრუნდება ომიდან ცოცხალი? თუ დაბრუნდა, ძალები დახვდება ცოცხალი? ჩუმად ტიროდა შაქრო, ცრემლებს ფრქვევა გაჰქონდა...

ღალამდა... მთვარე ჩვეულებრივად ამოვიდა მთათა კენწეროებში და გაანათა უღრანი ტყეები. ძალები სულ ჭოხთან იყვნენ... შაქროს არ მოშორებიან... აღარც ხმა ამოუღიათ. ყველაფერი ჩუმად იყო... ყველაფერი მქუნვარებდა... მხოლოდ ხმაურობდა ჩვენ წინ მთის ნაკადული, ხმაურობდა ერთთავად და ერთ ხმაზე, თითქო ამბობდა: იფიქრეთ, ურმანო, იფიქრეთ ბევრი, მაგრამ ვერ მიხვდებით ბედის ტრიალს. ბევრს უფიქრია ბედის უხასიათობაზე, როგორც თქვენ ფიქრობთ ახლა, მაგრამ ისინი სამარეში არიან, აღარ არსებობენ და აღარც იარსებებენ. მე კი ისევ იქა ვარ, ისევ იმას ვხმაურობ, რაც იმათ ვერ გამოიციენს. გაივლის ჯამი, აღარც თქვენ იქნებით, მე კი ისევ ასე ვიბუტბუტებ, ვიხმაურებ, დავაფიქრებ სხვებს, თქვენს მაგივრად რომ იქნებიან სოფლად...

მირბის ნაკადული, მირბის მკვირცხლად და მისძახიან ტყიანი ნაპირები.

*
*
*

გათენდა დილა. ყველაფერს უპატრონობა ეტყობა. საქონელი დაქსაქსულია აღარც დავწველეთ. მათთვის აღარავისა სცალია. სულ ერთმანეთს შეგვყურებთ და ვფიქრობთ, ვფიქრობთ... ყველას ერთი გვაქვს საფიქრებელი და საღარდელი.

— მშვიდობით იყავით, ჩემო ძმაო და მამავ! მშვიდობით... მივდივარ...—სთქვა შაქრომ; მაკოცა მე, მოხუცს და წავიდა... ძალები უკან გაჰყვნენ.

— შაქრო, ძალები მოაბრუნე!—დაუძახე მე.

შაქრო მობრუნდა, ალერსიანად უთხრა ძაღლებს: — დადიანო, დადიანო, დადიანო, ახლა ის არის თქვენი ბატონ პატრონო, და დამიძახა: — იოსებ, კარგა მოუარე ჩემს ძაღლებსო.

შაქრომ რამდენჯერმე კიდევ მოიხედა უკან და მიეფარა მთას... „წავიდა“... ჩემდა უნებურად წარმოსთქვა ბაგემ... „წავიდა“... იმეორებდა სიჩუმე... „წავიდა,“ — ამბობდა გულის ძგერა... „წავიდა!“ — ამოვიოხრე ხმა-მალა, მკლავები მოვხვიე აქეთ-იქით მდგომ ძაღლებს ყელზე და ქვითინით ჩავეხუტე ორივეს.

*
*

გაიარა დღემ, კვირამ, თვემ და ჩვენ გულს დარდი არ მოშორდა. დაგჩემდა დარდიანობა, ფიქრი. ძაღლებიც სულ ღმუოდნენ ღამ-ღამობით.. რა წაშს ჩავიდოდა მზე, გავიდოდნენ ტყის პირად, დაკუნტდებოდნენ ერთად და ღმუოდნენ, ტიროდნენ მზის ჩასვლას, რომელიც თითქო შაქროს წასვლას მოაგონებდათ.

ძაღლები ღმუოდნენ და ჩვენც ვტიროდით გულში. აღარც ზღაპრები გვაგონდებოდა, აღარც შიირები და აღარც სხვა რამ გასართობი. ზალიკოს თვალეებში წყალი მოსდის ხოლმე, როცა ძაღლები ღმუიან. ხანდახან ამ ბოლო დროს აციებს კიდევც.

— ზალიკო, შინ წადი, — უთხარი მე.

— რათა, შვილო?

— გაციებს და ძაან ავად არ გახდე.

— არა უშავს-რა, შვილო: დიდი ხანია დრო მაქვს სიკვდილისა. ან აქამდე რას ვაკეთებ აქა, ამ წუთი-სოფლად! მოკეთესაც მოვძულდი და მტერსაც.

*
*

მოხუცი შინ გავგზავნე. მარტო ვარ. ორი პატარა ბიჭი მყავს და ჩვენი ღაპარაკი სულ სამი სიტყვისაგან შესდგება: „წადი“, „მოდი“, „გააკეთე“.



დავიწვი ძაღლების კოდვით. სულ ღმუიან რით დავამშვიდე. ერთი ბიჭი ამოსულიყო სოფლიდან, ჩემი სახელი დავიწყნოდა და იძახოდა: „შაქროვო“. ძაღლებმა „შაქროს“ ხსენებაზე ლაქუჯითა და სამზიარულო წკმუტუნით შემოურბინეს იქაურობას, მაგრამ, რომ ვერ ნახეს, დაღონებულები დაბრუნდნენ ისევ თავის ადგილზე.

— რა ამბავია, ბიჭო?—ვკითხე ახლად მოსულს.

— არაფერი. შენ მაგიერ მე უნდა ვიყო აქა.

— რათა?

— შენ უნდა შინ წახვიდე, და იმიტომ.

— მერმე, რად უნდა წავიდე შინ?—ვკითხე მე.

— ზალიკოს ძმისწულმა მითხრა, იოსები გამოგზავნე და იმის მაგიერ შენ იყავიო.

— მერმე არ იცი—რადა?

— ზალიკო უნდა დამარხონ.

— ზალიკო უნდა დამარხონ?..

— ჰო, გუშინ წინ გადაიცვალა...

— გადაიცვალა?!.

* * *

რა რიგად შევენოდა ზალიკოს სიკვდილი. ისეთი მშვიდი სახე ჰქონდა, ისეთი მშვიდი, თითქო სძინავს და საამურ სიზმარსა ჰხედავსო. მის სახეზე სრული კმაყოფილება იხატებოდა... ღმერთო, რა არის—ყველას ასეთი სიკვდილი მოუვლინო ხოლმე!.. არა, მე უნდა უეჭველად ასეთი წარწერა გაუკეთო ზალიკოს საფლავს: „მხილველნო, ისურვეთ ჩემისთანა სიკვდილი; მე კი შენდობა მითხარით.“

სიკვდილსაც ჰქონია თავისი ღირსება, შნო, ლაზათი, აუცილებლობა, რომელსაც ადამიანი შეხედება სიამოვნებით, როგორც წესს, როგორც კანონს ბუნებისას.

მაგრამ მე?.. მე უთვისტომოდ, უმეგობროდ და ეულად ვრჩები ქვეყნად. ვილას შევჩვილო ჩემი დარდი, ჩემი ვარამი? ვილას გაუყო ჭირი და ლბინი?

წერილი ოცდამესამე

ლომია და ალაშა.

— რად დაიგვიანე ამდენ ხანს? — მისაყვედურა ჩემ მაგიერ მყოფმა მწყემსმა.

— შინ გეჩქარებოდა?... საქმე გქონდა? — ვკითხე მე.

— არა, მაგრამ ზომ იცი, რა ძნელია სხვისი საქონლის მოვლა! ამ ძაღლების ცოდვით დავიწვი: ახლო ვერ გავიკარე; ვერც სალაფავი ვაქამე და ვერც დავაწუნარე. ერთი მოკვდა კიდევ. მეორე მასთან არის და ღმუის.

ტრემლები წამომცვივდა. გული ამომიჯდა და წავედი სანახავად; მაგრამ ამაოდ: მეორეც მომკვდარიყო.

ფიქრობ და ვკიცხავ თავს: ნუ თუ ისე ცოტა მიყვარდა ჩემი ძმა, რომ ისევ ცოცხალი დავდივარ მიწაზე? ნუ თუ ამ პირუტყვეებს ჩემზე უფრო ღრმად უყვარდათ ჩემი ძმა შაქრო? მაგრამ ვაი მე, რომ უფრო მეტად ვისჯები ამავე სიცოცხლით, რომელიც ჩემთვის სიკვდილზე უარესია! რა უშავთ ძაღლებს: მათ სამუდამოდ მოისვენეს.

უკანასკნელი წერილი

მიხაკო!


მე დავასრულე ჩემი წერილები და წელიწადმაც დაასრულა თავისი თავი. შემოდგომიდან დავიწყე და ისევ შემოდგომასთან მიველ. შემოდგომაა გარედ და შემოდგომაა ჩემ გულშიც. აი, იმ პატარა, ათი წლის მწყემსს კვლავ შეუფენია ცხვარი გორაზე და უკრავს სალამურს; უკრავს, აკვნესებს სალამურს და სცევივა ტყეს გაყვითლებული ფოთოლი: აკვნესებს სალამურს და თრთის შემოდგომის მწვანე სამოსელი. — ეს უკანასკნელი ამოსუნთქვა დედამიწისა; აკვნესებს




სალამურს და მისცურავს მიწის გულიდგან ამოწყვეტილი წიქსი
ლი, რომელიც მალე განირთხევა მიწაზე და დააფრქვევს
ცრემლს ჩემი წარსულის ოხერ საფლაოზე.

ძმაო მიხაკო! მე სავსებით განვიცადე სიძნელე და სი-
დუბჭირე სიობლისა. ყველასა და ყველაფრის გარეშე დავდი-
ვარ, მხოლოდ იმისათვის, რომ უყურო სხვისა ბედნიერებას და
ამით უფრო ღრმად დავიტანჯო და განვიცადო მწუხარება
ამქვეყნიური. ამიტომ გთხოვ: გაუფრთხილდი შენს მეგობ-
რებს, ამხანაგებს, ძმებს, ნათესავეებს, და იცოდე: თუ ერთ-
ხელ ასცდი სწორე გზას, თუ ერთხელ გაიმრუდე საქმე, ვე-
ლარას დროს ველარ გამოასწორებ და სულ ჩაგიშხამდება ის
მკირე ხანი სიცოცხლისა, რომელიც ერთმანეთისადმი სიყვა-
რულისა და ტკბილად ცხოვრებისათვისა გვაქვს მოცემული
ადამიანებს.

შენი ი. მჭედლიშვილი.





ავ-გყული ფოსტის დამტარებელი.



ისტვის ზიხარ აქ იატაკზე ასე მოწყენილი, ჩემად, საყვარელო დედილო?

წვიმა აშხაბუნებს ღია ფანჯარაში, სრულიად დაგასველა, და შენ კი ამას ვერ ამჩნევ. გესმის, გონგს ოთხჯერ დაპკრეს. ჩემი ძმაც მალე უნდა მოვიდეს სკოლიდან.

რა დაგეშართა, დედილო, რატომ გაქვს ასეთი უცნაური შესახედაობა? განა დღეს არ მიგიღია მამის წერილი?

მე თვითონ დავინახე, როცა ფოსტის დამტარებელმა ჩანთით მოიტანა წერილები და დაურიგა თითქმის ყველას ქალაქში.

მხოლოდ მამილოს წერილს იტოვებს თავისთვის წასაკითხავად. მე დარწმუნებული ვარ, რომ ფოსტის დამტარებელი ავი კაცია.

მაგრამ ნუ დარდობ ამისთვის, საყვარელო დედიკო.

ხვალ აქ ახლოს სოფელში საბაზრო დღეა. სთხოვე მოსამსახურეს გიყიდოს კალმები და ქალაღი.

მე თვითონ დაგიწერ მამილოს ყველა წერილს. ვერც ერთში ერთ შეცდომასაც ვერ იპოვი.

მე დავსწერ ა—ნიდან სულ კ—ნამდე.

მაგრამ, დედილო, რად იღიმები?

შენ გგონია, რომ მე ვერ დავწერ ისე ლამაზად, როგორც მამა სწერს?



ფრთხილად დავხაზავ ჩემ ქალაქს და ლამაზად გამოვიყვან ყველა ასოებს.

როდესაც დავასრულებ წერილის დაწერას, ნუ თუ შენ გგონია, რომ მეც ისე სულელურად მოვიქცევი, როგორც მამა, და წერილს იმ საზიზღარ ფოსტის დამტარებლის ჩანთაში ჩაეგდებ?

ფოსტის დამტარებელს არც კი დაუცდი, წერილს თვითონ მოგიტან და ასო-ასოთ გიშველი იმის წაკითხვას.

მე ვიცი, რომ ფოსტის დამტარებელს არ უყვარს შენთვის სასიამოვნო წერილების მოტანა.

ნინო ნაკაშიძე.





წეროები

პატარა სოფლის განაპირას ერთი გლეხის სახლის სახურავზე წეროებმა ბუდე გაიკეთეს. დედა-წერო თავისი ოთხი ბარტყით ბუდეში იჯდა. ბარტყებს გარედ ჰქონდათ გამოყოფილი შაფ-ნისკარტიანი პაწია თავები და იქით-აქეთ იცქირებოდნენ. იქვე ახლოს სახურავზე მამა-

წერო იდგა, ერთ ადგილას უძრავად გაშეშებული; ცალი ფეხი მკერდზე ჰქონდა შემოკეცილი, რადგან ეგონა, რომ დარაჯი მოვალეა სამსახურის დროს საქმე გაიძნელოს ხოლმე. კაცი იფიქრებდა, წერო ხისაგანაა გამოკრილიო, ისე გაუნძრევლად



იღგა იგი სახლის სახურავზე. „რასაკვირველია, წარჩინებულია წესია,—ფიქრობდა წერო,—რომ თავისი ოჯახის დამცველად დარაჯი იყოლიონ. არავენ არ იცის, რომ შე ჩემი ცოლის ქმარი ვარ; ყველა ფიქრობს, რომ აქ დარაჯადა ვარ გამოგზავნილი. ვანა დიდებული სანახაობა არ არის!“

ასე ფიქრობდა წერო და ცალ ფეხზე დაულალავად იღგა. დაბლა ქუჩაში ბლომად შეკრებილიყვნენ ბავშვები და თამაშობდნენ. წეროები რომ დაინახეს, ერთმა, სხვებზე უფრო თავხედმა ბავშვმა სიმღერა დაიწყო და სხვები თანდათან აპყვნენ. წეროებზე გამოთქმული დამცინავი ლექსი გაიხსენეს და იმას გალობდნენ.

— ერთი ყური დაუგდე, რას გალობენ ბავშვები! — მიმართეს დედა-წეროს ბარტყებმა: — ისინი ამბობენ, რომ ჩვენ უნდა შეგვწვან და სამუდამოდ მოგვსპონ.

— ეს თქვენი საქმე არ არის, — უპასუხა დედა: — ყურს ნუ უგდებთ. ნუ გეშინიათ, — ვერავენ ვერაფერს ვერ გაგიბედავთ. ბავშვები კი არ ცბრებოდნენ: სულ გალობდნენ და ხელები წეროებისკენ ჰქონდათ აშვერილი. მხოლოდ ერთმა ბატარა ბიჭმა, სახელად პეტრემ, სთქვა: — სირცხვილია, ცოდვაა, რომ ასე დასცინით ამ ფრინველებსაო, — და გალობაში მონაწილეობას არ იღებდა. დედა — წერომ თავის ბარტყებს გული გაუკეთა: — წყნარად იყავით, ნურაფრის ჯავრი ნუ გაქვთო. შეხედეთ, ემანდ როგორ წყნარად და ყოჩაღად ცალ ფეხზე დგას მამა თქვენიო.

— გვეშინია, ძალიან გვეშინია! — სთქვეს ბარტყებმა და თავები ბუდეში შეპყვეს.

მეორე დღეს ბავშვებმა ისევ მოიყარეს თავი ქუჩაში, წეროებს მიაჩერდნენ და ხელახლად დაიწყეს თავისი სიმღერა.

— მართლა უნდა მოგვკლან და შეგვწვან? — ჰკითხეს ბარტყებმა დედას.

— არა, ეს შეუძლებელია! — უპასუხა მან. — თქვენ ფრენა უნდა ისწავლოთ. ერთად ვივარჯიშებთ. შემდეგ მინდვრე-



ბისკენ გაფორინდებით და ბაყაყებს ვინახულებთ. გვინახავენ, წყალში დაიმალებიან. ჩვენ კი იმათ ვსჯამთ. აბა, ნახავთ, როგორი მზიარული ცხოვრება მოგველის!

— შემდეგ რა იქნება?—ჰკითხეს ბარტყებმა.

— შემდეგ ამ კუთხის ყველა წერო ერთად თავს მოიყრის და დაიწყება დიდი საშემოდგომო ვარჯიშობა. ყველამ კარგად უნდა იცოდეს ფრენა. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ვისაც ფრენა არ ეცოდინება, წეროების ღენერალი ნისკარტს ჩაჰკრავს და მოჰკლავს. ამიტომ, ვარჯიშობას რომ დაიწყებთ, არ უნდა იზარმაცოთ

— მერე ხომ მოგვეკლავენ და შეგვწვავენ. აბა, ყური დაუგდე, დედილო: ისევ ამას არ გალობენ ბავშვები ქუჩაში.

— ყური დამიგდეთ მე, თქვენ დედას, და ნუ უყურებთ იმ ბავშვებს!—უთხრა დედა-წერომ. — დიდი ვარჯიშობის შემდეგ შორს, ცხრა მთას იქით, თბილ ქვეყნებისკენ გაფორინდებით. ეგვიპტეს ვინახულებთ, სადაც დიდი, სამკუთხიანი, ზეცისკენ ამართული, წვეტებიანი ქვის შენობები დგას. ამ შენობებს პირამიდები ჰქვია. ისეთი ძველები არიან, რომ ჩვენისთანა წეროებს არც კი შეუძლიათ წარმოიდგინონ. იქავე ერთი მდინარეა, რომელიც ნაპირებიდან გადმოდის და მთელ ქვეყანას შლამით ჰფარავს. ჩვენ ამ შლამში დაედღეართ და ბაყაყებს ვსჯამთ.

— ოჰ!—წამოიძახეს ბარტყებმა.

— დიახ, სწორედ ბედნიერი ცხოვრებაა: მთელი დღე არაფერს აკეთებ, — დადიხარ და ბაყაყებს მიირთმევ. როცა ჩვენ იქ ასე კარგად ვატარებთ დროს, აქ, ამ ქვეყანაში, ხეებზე ერთი ფოთოლიც არ მოიძებნება. ისე ცივა, რომ ცაში ღრუბლები იყინებიან და ჰაწ-ჰაწია თეთრ ნაფლეთებად ცვივიან დედამიწაზე.

დედა-წერო, რასაკვირველია, თოვლს გულისხმობდა, მაგრამ კარგად ვერ აუხსნა თავის ბარტყებს, რა არის თოვლი.

— ნეტა ავგული ბავშვებიც თუ იყინებიან და ნაფლეთებად იქცევიან?—ჰკითხეს ბარტყებმა.



— არა, ნაფლეთებად არ იქცევიან, მაგრამ მაინც მწარედლე დაადგებათ ხოლმე. ბნელ ოთახში ბუხართან უნდა ისხდნენ. თქვენ კი ამ დროს უცხო ქვეყნებში დაფრინავთ, სადაც მრავალი ყვავილებია და მზე ბრწყინვალედ ანათებს.

გავიდა რამდენიმე ხანი. ბარტყები იმდენად წამოიზარდნენ, რომ ბუდეში ფეხზე დგომა და იქით-აქეთ შორ მანძილზე კქერა შეეძლოთ. მამა-წეროს ყოველ დღე მოჰქონდა მათთვის ბაყაყები, პაწია გველები და სხვა სასიამოვნო საქმელი. მერე რა სასაცილო ოინებს აწვენებდა ხოლმე იგი თავის შვილებს. თავს უკან გადახრიდა და კუდზე იდებდა; ნისკარტს ისე აახმაურებდა, რომ ნამდვილი სარახუნა გეგონებოდათ; შემდეგ ქაობის ზღაპრებს უამბობდა ხოლმე.

— გამიგონეთ, ახლა თქვენ ფრენა უნდა ისწავლოთ! — უთხრა ერთხელ დედა-წერომ თავის ბარტყებს და ოთხივე სახლის სახურავზე გამოაგდო.

ოჰ, როგორ წაბარბაცდნენ პატარა წეროები. ფრთებს აფართხალებდნენ, და ცოტა დააკლდათ, კინალამ დაბლა ქუჩაში არ ჩამოცვიდნენ.

— აბა, მე მიყურეთ! — შესძახა დედა-წერომ. — თავი აი ასე უნდა გეკიროთ. ფეხები ასე უნდა დააწყოთ. ერთი, ორი! ერთი, ორი! ისწავლეთ, თუ გსურთ ცხოვრებაში დაწინაურდეთ.

შემდეგ დედა-წერო აფრინდა და მალლა პატარა წრეს შემოეფლო. ბარტყებმაც სკადეს აფრენა, მაგრამ იმ წამსვე ფრთების ფართხალით სახურავზე გაიშხლართნენ, რადგან ტანის სიმძიმემ დასძლია.

— მე არ მინდა ფრენა! — სთქვა ერთმა ბარტყმა და ისევ ბუდეში შექცრა. თბილ ქვეყნებისკენ გამგზავრება სრულებით არ მენატრება.

— მამ აქ ზამთარში გაიყინები. მოგაგნებენ ბავშვები, კისერს მოგიგრებენ, შეგწვავენ და მოგსპობენ. დაუძახო ბავშვებს?

— არა არა! — უთხრა ბარტყმა, გამოხტა ბუდიდან და თავის დაძმებს შეურთდა.

მესამე დღეს ბარტყებს უკვე პატარა მანძილზე გაფრენა შეეძლოთ და ფიქრობდნენ, რომ ჰაერში ნავარდობასაც შესძლებდნენ. სცადეს კიდევაც, მაგრამ — შრრრ! დაბლა ზღლიართანი გახდათ და ფრთები საცოდავად ააფართხალეს.

ბავშვებმა ქუჩაში მოიყარეს თავი და დაიწყეს გალობა:

— წეროვ, წეროვ, გაფრინდი!

— უნდა დავაფრინდეთ და თვალები ამოვთხაროთ ამ ბავშვებს! — სთქვეს ბარტყებმა.

— არა, არა, თავი დაანებეთ! — უბასუხა დედამ. — ყური დამიგდეთ: ეს ყველაფერს სჯობია. ერთი, ორი, სამი! აბა, ერთად გაფრინდეთ და სახურავს გარს შემოვევლოთ. ერთი, ორი, სამი! აბა! მარცხნივ, საკვამლე მილისაკენ! ოჰ, ეს ძალიან კარგია! ისე ლამაზად და სწორად აქნევთ ფრთებს, რომ ხვალ ნებას მოგცემთ ჩემთან ერთად ქაობისკენ გაფრინდეთ. იქ თავს იყრიან პატივცემული წეროები თავისი ცოლშვილით. თქვენ უნდა დაუმტკიცოთ ყველას, რომ კარგად გაზდილები ხართ და რიგიანი სიტყვა-პასუხი იცით. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს: საზოგადოებაში პატივისცემა გექნებათ.

— მაშ ამ საძაგელ ბავშვს მაგიერი არ გადაუხადოთ? — ჰკითხეს ბარტყებმა.

— თავი დაანებეთ: იყვირონ, რამდენიც უნდათ! თქვენ ცაში აფრინდებით და პირამდებისაკენ გაუდგებით. ისინი კი ამ დროს აქ გაიყინებიან და ერთი მწვანე ფოთოლი და ტკბილი ვაშლიც არ შერჩება ხეებს მათდა სანუგეშოდ.

— არა, ჩვენ მაინც მაგიერს გადაუხადით ბავშვებს! — წაუჩურჩულეს ბარტყებმა ერთმანეთს და ისევ გულმოდგინედ შეუდგნენ ვარჯიშობას.

ქუჩის ბავშვებში ერთი ბავშვი ყველაზე უფრო სცდილობდა გაეჯავრებია წეროები დამცინავი სიმღერით. დამწყები ყოველთვის ის იყო ხოლმე, — პაწია, ექვსი წლის ბიჭი. წე-



როებს, რასაკვირველია, იგი ასი წლის კაცად მიიჩნეოდა. გან ბავშვი მათ დედ-მამაზე უფრო დიდი იყო. რა იცოდნენ ამ ფრინველებმა, რამდენი წლის არიან ხოლმე პატარა და დიდი ბავშვები! ძალიან უნდოდათ ამ ბავშვზე ამოეყარათ ჯავრი. იგი დამწყები იყო და დაუღალავად გალობდა დამცინავ სიმღერას. ახალგაზდა წეროებს ბრაზი მოსდიოდათ და რაც უფრო იზრდებოდნენ, მით უფრო ეძნელებოდათ ამ შეურაცხყოფის ატანა. ბოლოს-და-ბოლოს დედაც დაეთანხმა— შური უნდა ვიძიოთ ამ ბავშვებზეო, მხოლოდ ბოლომდის მოვითმინოთ და წასვლის ხანს ამოვიყაროთ იმათზე ჩვენი გულის ჯავრიო.

— აბა, ვნახოთ, როგორი მფრინავები გამოდგებით დიდი ვარჯიშობის დღეს. თუ ვერ იხეირეთ, წეროების ღენერალის ნისკარტს გულში ჩაგვცემთ და ბავშვების სიტყვები გამართლდება. მაშ, ვნახოთ, თავს როგორ ისახელებთ.

— ძალიან კეთილი!— უპასუხეს შეილებმა და გულმოდგინედ შეუდგნენ შრომას. ყოველ-დღე ვარჯიშობდნენ. ისე ლამაზად და მსუბუქად ისწავლეს ფრენა, რომ ადამიანის თვალს იამებოდა.

დაღვა შემოდგომა. თან-და-თან ყველა წეროებმა მოიყარეს თავი და შორ ქვეყანაში გასაფრენად მოემზადნენ. გაჩაღდა დიდი ვარჯიშობა. წეროები თავს ევლებოდნენ დიდრონ ტყეებსა და ქალაქებს, იმის საჩვენებლად, რომ ფრენა კარს გად შესწავლილი ჰქონდათ. სახუმრო საქმე არ იყო: თბილი ქვეყნებისკენ დიდი გზა ჰქონდათ გასავლელი.

ჩვენმა ახალგაზდა წეროებმა ჩინებულად შეასრულეს თავისი საქმე და ჯილდოდ საუკეთესო მოწმობა და თითო-თითო ბაყაყი და გველი მიიღეს. ეს საჩუქარი ხომ მათთვის ოქროს ჯვარზე უფრო გემრიელი იყო.

— აბა, ახლა ბავშვებზე უნდა ვიძიოთ შური!— სთქვე-ახალგაზდა წეროებმა.

— უსათუოდ!— უპასუხა დედა-წერომ. აი, რა შურის ძიება გამოვიგონე! მე ვიცი ერთი ტბა, სადაც პაწია ბალ-



ლები წვანან, სანამ არ მოფრინდება წერო და იმათ თავთა ვიანთ მშობლებთან არ წაიღებს. ლამაზ პაწია ბაღლებს სძინავთ და ძილში ტკბილ სიზმარს ჰხედავენ, რომელსაც შემდეგ თავის დღეში ველარ დაინახავენ. ყველა მშობლებს ენატრებათ ასეთი პაწია ბაღლები; ბაღლებს კი პაწია და-ძმები. მოდით ახლა იმ ტბისკენ გაფრინდეთ და ამ საძაგელ ბიჭებს თითო-თითო ბაღლი მიუყვანოთ, ისეთი ბაღლები, რომლებმაც მწარე სიმღერა და წეროების დაცინვა არ იციან.

—იმ საზიზღარ ბიქს რაღა უნდა უყოთ, ყოველთვის დამწყები რომ იყო ხოლმე?

—ტბაში ერთი პატარა მკვდარი ბაღლი წევს, რომელსაც სასიკვდილო სიზმარი უნახავს. ეს ბაღლი იმ ბიქს წაუღოთ, სატირლად და სავაგლაზოდ მკვდარი ძამია მივეგვაროთ. გულკეთილ პატარა ბიქს კი, რომელიც ეუბნებოდა ამხანაგებს—დიდი ცოდვა და სირცხვილია სასაცილოდ აგდება ფრინველებისაო, ლამაზი ძამია და დაიკო მივეგვაროთ. რადგან იმ ბიქს სახელად პეტრე ჰქვია, თქვენც ყველას სახელად პეტრე უნდა დაგარქვათ!

როგორც სთქვა, ისე ასრულდა. მას აქეთ წეროებს სახელად პეტრე ჰქვიათ. დღესაც ხალხი ამ სახელს უძახის.

ილია ნაკაშიძე





აკაკი წერეთელი.

(წერილი პირველი)



ერ ისევ სველია აკაკის სამარე. ჯერ ისევ თაღებშია გახვეული საქართველო. ჯერ ისევ ცოცხლად ვგრძობთ აკაკის სუნთქვას. ჯერ კიდევ ვერ შევრიგებინართ იმ აზრს, რომ მამადავითის მთაზე ორი ახალი საფლავი

გვაქვს, ორი დიდი საფლავი. იქ მხოლოდ ქაეკავადის საფლავი გვეგულება. ჯერ ჩვენი გონება ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ იქვე ასვენია ცხედარი ჩვენი მგოსანთ-მეფის აკაკისა.

„ნაკადულის“ მკითხველები მოწამენი არიან იმ დიადი სანახაობის, რომელსაც აკაკის დასაფლავება წარმოადგენდა. იციან, როგორ აშფოთდა მთელი საქართველო, როგორ შეინძრა კიდით კიდემდე და შიშვე, ყრუ ხმა-ლა აღმოსკდათ, როდესაც ორი სიტყვა: „აკაკი გარდაიცვალაო“—ელექტრონის ნაკადივით სწრაფად მოედო ჩვენ მხარეს.

„ნაკადულის“ მკითხველების უურამდე ისიც მიაღწევდა, რომ აკაკის კუბოს ამკობდა ერთი სადა გვირგვინი, ფრიად



შესანიშნავი და საგულისხმო წარწერით; ეს იყო: „საქართველო“. მთელი საქართველო შემოიკრიბა მისმა ცხედარმა, დანაწილებული საქართველო შეაერთა მისმა სახელმა, მტრებიც-კი დროებით შეარიგა მისდამი პატივისცემამ. ამგვარი დღე ცოტა ახსოვს ქართულ ისტორიას. აკაკის სიკვდილმა ნათლად დაგვიმტკიცა, რომ ყოფილა უმაღლესი ეროვნული საფეხური, სადაც სუსტდება ინტერესთა სხვა-და-სხვაობა, და ერი, მთლიან სხეულად ქცეული მჭევრად მეტყველებს. ცოცხლად დაგვანახვა, რომ ქართველობა—ეს ზოგადი რამ არის, რომელიც ყველა წოდებისთვის თანაბრად ძვირფასი და სანუკვარია. ეს მოიქმედა აკაკის აღსასრულის დღემ.

მაგრამ არ გეგონოთ, რომ ეს მხოლოდ უბრალო პატივისცემა იყო, დიდი ადამიანის სიკვდილით გამოწვეული. არა. აკაკი სიცოცხლეშივე შეიყვარა საქართველომ და საქართველოს უგვირგვინო მეფედ გამოაცხადა. რატომ?—იმიტომ, რომ მასში ჰპოვეს თავისი სახე, იმიტომ, რომ აკაკი იყო მეტყველი საქართველო. მაგრამ როგორ? რა მოახდინა ისეთი? რა მოიქმედა, რომ ასე მუხლს იდრეკს მის წინაშე მთლად საქართველო? რა ჯადო-წამალი მოიხმარა, რომ ასე სასიყვარულოდ ააძგერა ყველას გული და თავის გარეშემო ხალხი შემოიხვია? რა მისცა მან საქართველოს, რომ საქართველომ ისეთი ხელთ-უქმნელი ძეგლი დაუდგა, როგორიც არის ერის სიყვარული?—გადავალოთ თვალი აკაკის შემოქმედებას და იქ მოვსძებნოთ მიზეზი, რომლის გამო შეუმკეს დაფნის გვირგვინით შევერცხლილი მოხუცი თავი.

წინა წერილში ¹⁾ ჩვენ ვისაუბრეთ ილია ჭავჭავაძის შესახებ და მოკლედ გავითვალისწინეთ შინაარსი და სახე მისი შემოქმედებისა. მაგრამ თითქოს ბუნებრივად ილიას სახელი ისე შეკავშირდა აკაკის სახელთან, რომ აკაკის სიკვდილიც არ ყოფილიყო, მაინც ილიას გვერდით, ილიასთან ერ-

¹⁾ „ნაკად.“ 1914 წ. № 9—10.



თად, აკაკიზედაც უნდა გვეთქვა ჩვენი სიტყვა. და ეს უძველესი
 ლი ასახსნელია. ორივე, ერთ დროს გამოსულნი სამწერლო
 ასპარეზზე, ერთად დიდებულად აღიმართნენ ჩვენი ცხოვრების
 ასპარეზზე და თავისკენ მიიქციეს ყველას ყურადღება. ორივე
 სიბერემდე წინ უძლოდა ჩვენ ცხოვრებას, ყოველივე თრთო-
 ლვა ცხოვრებისა თავიანთ ჩანგზე აკინძეს, გამოეხმაურნენ.
 ორივემ თითქმის ერთ-და იმავე კილოზე მომართეს ქნარი და
 უმღერდნენ ქვეყანას კოცხალ ჰანგებს, ერთი იყო მთავარი
 ჰანგი ორივეს სიმღერაში, და ეს ჰანგი სამშობლოს სიყვარულს
 გამოსთქვამდა. სწორედ ამ მთავარ ჰანგის ერთიანობამ გამო-
 იწვია მათი ჩვენ თვალში შეკავშირება ისე, რომ ერთი მეორე-
 საგან თითქმის ველარც კი გაგვიშორებია. ხომ სიკვდილის
 შემდეგაც არ განაშორა იგინი ქართველმა ერმა. ილიას სამა-
 რის გვერდით გაუთხარეს აკაკისაც საფლავი და ჩვენთვის
 სიკოცხლეში განუყრელნი შემოქმედებით, სიკვდილის შემ-
 დეგაც განუყრელად დაეტოვეთ. ასეთია ჩვეულებად ქცეული
 სურვილი ქართველებისა, რომ აკაკი—ილიაზე ერთად იმე-
 ტყველონ. არც შე აუხვევ ამ გზას და ილიას შემდეგ გადაე-
 შლი რვეულს აკაკის შემოქმედებისას. გადაშლისთანავე ჩვენ
 წინ ეროვნული საკითხი აღიმართება, და მშობლიური ჰანგი
 ტკბილ მუსიკად მოველინება ჩვენ სმენას. სწორედ ამისთვის
 გვიყვარს იგი ჩვენ, ამით დაიდგა მარადი, ხელთ-უქმნელი
 ძეგლი. ჩვენ ვაფასებთ და სათუთად უვლით ამ გრძნობას,
 უძღებად უსმენთ ამ ჰანგს, რადგან ჩვენ ეს გვწყურია. ჩვე-
 ნი ცხოვრება ისე იყო და არის მოწყობილი, რომ ამ ჰანგმა
 მიიქცია მთავარი ყურადღება, სხვას ყველას პირველობაში
 შეექიშვა, და ჩამოართვა კიდევ. და ეს ასეც უნდა მომხდარ-
 იყო: გვესაპიროებოდა იგი და დღესაც გვესაპიროება. ვერ
 გავსძლებთ უიშისოდ. ჩვენ მიუჩუჩებულ ცხოვრებას რბევა უნ-
 და, რომ იგი ობს არ შეექმევინოს, უმოძრაობით გარე-მო-
 ცული. მოძრაობა გვეკირვება, ჩუმი, ეროვნული ძალის დუ-
 ლილი, რომ ჩვენი ეროვნული ძალა არ მოისპოს, არ გადა-



შენდეს. და თუ დღეს არ მომხდარა ეს, ამაში დღევანდელი ჩვენ მწერლებს მიუძღვით, და მათ შორის ერთი უპირველესი — აკაკის.

გამოვიდა თუ არა სამწერლო ასპარეზზე, აკაკიმ მაშინვე ამ ჰანგზე მომართა თავისი ჩანგური, და ამ ხმაზე მღერდა იგი სიკვდილამდე, მოხუცი გულ-გაუტეხელი. თავისი შემოკმედებით აკაკიმ გადაშალა მთელი ვითარება ქართველთა არსებობისა. მან გვაჩვენა მთელი შემადგენლობა ქართველი ერისა, გაგვაცნო, დაგვიხატა მისი ცხოვრება, აზრი, რწმენა-მისწრაფებანი. არ იცნობდა საქართველო თავის თავს ახალ წყობილებაში: სარკე არ ჰქონია, რომ შიგ ჩაეხედნა და ერთხელ მაინც დაენახა საკუთარი სახე. აკაკიმ მისცა ქართველობას ეს სარკე და შეძრწუნდა ქართველობა, როდესაც შიგ საკუთარი სიმახინჯე დაინახა.

კითხულობდა ქართველობა აკაკის ლექსებს, და სირცხვილის აღმური მოეკიდა სახეზე: სცნობდა თავის თავს, დედას, მამას, და-ძმებს, ნათესავ ნაცნობებს. ყველა შიგ იყო გამოყვანილი, ყველა გაკიცხული, ყველა გამათრახებული. ჩვენზე სწერსო, — ამბობდა ყველა დარცხვენით. და მართალიც იყო. ყველა ისინი გახადა პოეტმა საგნად თავისი გესლიანი სიცილისა, ყველა ააწივლა თავის მკაცრ შოლტების ქვეშ. რატომ? აღბად მიზეზიც ჰქონდა. როდესაც პოეტური ცეცხლი აკაკისა გაღვივდა, როდესაც მოიმარჯვა კალამი, როდესაც გონების თვალით შემოველო საქართველოს, რომ აეკრიფა ჰანგები, ეხილა სახეები და პოეტურად გარდაექმნა, სწორედ მაშინ ჩაისახა მისი მსუბუქი, გესლიანი და მასთან ერთად სიყვარულით გამოწვეული დაცინვა. სწორედ მაშინ გაჩნდა მისი სევდა, რომელსაც სიბერემდე ასაზრდოვებდა დიდი მგოსანი. სამშობლოს სიყვარულით იყო აღსაფხველი აკაკი, როდესაც შეგნებულად აახილა თვალები; როდესაც პირველად აიღო კალამი, აკაკის მაშინვე სამშობლოს სახე წინ წარმოუდგა და აკაკიმაც მოისურვა ლექსის მიძღვნა. მაგრამ რად და ვისთვის, ან რის-



თვის? დაიგვიანა დღემ მგოსნის გაჩენისამ, და მის სიმშობისმდე საქართველოს გადარჯულება უკვე მოესწროთ. უნებლიედ დაიგვიანა, საქართველოს სხეული უკვე აეკუწათ, ასოები საქართველოს სხეულისა უკვე ერთი-მეორისთვის განეშორებინათ, და აქეთ-იქით დაქსაქსულები საცოდავად-ღა ჰფეთქავდნენ სიკვდილის მოლოდინში.

აკაკიმ მიმოავლო ცეცხლით აღგზნებული თვალები, გაიმახვილა სმენა, მაგრამ თვალით ვერ არღვევდა ნისლს, საქართველოზე ჩამოწოლილს, სმენით ვერ გაიგო ქართული, რადგან მას აბუჩად აგდების ობი გადაჰკვროდა: იმ ენაზე აღარ ლაპარაკობდნენ. გაიგო, რომ რაღაც შხამ-ნარევი კვამლი ჰპურავდა მშობლიურ კერას. შეძრწუნდა პოეტი. კვლავ მიმოავლო თვალი არე-მარეს და სასტიკი ხმით დაიძახა:

.....„ჩემი სატრფო სად არი,

ნისლი ჰპურავს, თუ დღე უდგა სადარო?-ო“.

მართლაც ნისლი ჰპურავდა. შავი ღრუბლები ზღაპრულად გადასწოლოდნენ და სუნთქვას უძნელებდნენ მის სატრფო—საქართველოს. ხოლო მგოსნის აღშფოთება იქ აღწევს უმაღლეს ხარისხს, როდესაც დაინახავს, რომ მისი სატრფო მონად ქცეულა და სხვას ემსახურება.

„გადავბედე,—ენახე, როს სხვას ჰმონებდაო“.

და აქ აღიესო ნალველ-ნარევი რისხვით, რომელიც არ განშორებია სიკვდილამდე, და ხმარობდა ყოველთვის, როდესაც საქართველოს მტრებს ხედავდა.

როცა უკვირდებით აკაკის შემოქმედებას, თითქმის ერთ-ფეროვანად გეჩვენება. ჰკითხულობთ მის ლექსებს, და ყველანი, როგორც ჯაქვის რგოლები, ერთი მთავარი წერტილის გარშემო იკრიბებიან, და ეს მთავარი წერტილი მისი სამშობლოა. მაგრამ არ გეგონოთ, რომ აკაკი მოსაწყენი იყვეს. არა. თქვენ ერთნაირი ხალისით ჰკითხულობთ ყოველ მის ლექსს, რადგან შიგ მეთყველებს ჰეშმარიტი ხელოვანი. ხე-



ლოვანი ხომ თავისებური ჯადოსანია. რაც მორიგე მდამთავრებისთვის მოსაწყენია და უბრალო, რაც ყოველ-დღიურობაში შეუმჩნეველია და უფერული, ის ხელოვანის ხელში გარდაიქმნება: მოსაწყენი და უბრალო დიდებულად და წარმატად იცვლება; შეუმჩნეველი—დიად სვეტად აღიმართება ჩვენ წინაშე, და უფერული კი, იმოსება-რა დიდებით და მშვენიერებით, გვევლინება როგორც წარმატატი რამ ხატება. ასეთია ძალა ხელოვნებისა. ასეთივეა შემოქმედება აკაკისა. თქვენ განუწყვეტლივ გესმით მისი სიმღერა, სამშობლოს გარეშემო აკინძული, ჰხედავთ მგოსნის ცრემლებს, —სამშობლოს გარეშემო დაფრქვეულს, ხედავთ თვით მგოსანს, სამშობლოს სხივით გაშუქებულს. არ არის მის გარეშე მისთვის ღმერთი. არ არის მის გარეშე მისთვის მშვენიერება. არ არის მის გარეშე ხალისი და სიხარული. სამშობლოსა და მგოსნის შუა ისეთი ცოცხალი კავშირია, რომ ყოველგვარი თრთოლა სამშობლოსი პოეტის სულის თრთოლვას იწვევს, აღელვებს. მის ჰანგებზე აყოლებს მგოსანი თავის სიმღერას და საყვარელ სამშობლოს უწნავს გვირგვინს დიდებისას.

ეს კიდევ ცოტაა. მწერალი ისე არის გარემოცული სამშობლოზე ფიქრით, რომ ყველგან მისი სევდიანი სახე ეხატება, რასაც კი ჩაუკვირდება, ყველგან მისი სვე-ბედი გაახსენდება. აგერ შორს, სადღაც, მოისმის მკენესარე ხმა მინახებულ სალამურისა. მოკვითინე ჰანგი ნელა-ნელა სწყდება ლერწამს და დინჯად ეფინება არე-მარეს. უსმენს მგოსანი, და სალამურის მთრთოლავი კვნესა აგონებს მწარე მოთქმას საქართველოსას, რომელსაც

„ხან თათრები აკვნესებდნენ,
 ხან თურქები აოხრებდნენ,
 ხან სკვითები დროს შერჩევით
 მყუდროებას უშფოთებდნენ“.

აგერ ზურნის მკეპარე ხმა მოარღვევს ჰაერს, ახმაურებს ყველაფერს და ყველას საზეიმოდ იწვევს; სასტიკი და ცოც-



ხალი ხმები სწრაფად სცვლიან ერთი მეორეს და სამხიარულოდ კაცთა სისხლის შეთამაშებას. უსმენს მგოსანიც, და აქაც მშობლიური ხმები ეცნაურება. რიხიანი და ცოცხალი ჰანგი ზურნისა აგონებს წინაპრებს, და მშვენიერი სვედრით ჰპრობილი მიმართავს:

„ახ, მეზურნევე, დაჰკა! დაჰკა!
 გამაგონე ეგ სვედრის ხმა,
 მაგაშია ჩემთა ძველთა
 მამაკური ოხვრა, მოთქმა“.

აგერ... ბუნებას გული კვლავ გადაჰხალისებია და მზის სიუხვით გატაცებულს მოუხსნია თეთრი ჩადრი, რომ გულმკერდი გადაუშალოს მზის ცხოველ სხივებს. გაზაფხულეულა. თოვლის დამდნარ ლეჩაქიდან უკვე ამოჰყვეს თავი ყვავილებმა, და მოხვდათ რა მათაც მაცოცხლებელი შუქი, გახალისდნენ, იწყეს მხიარული სიცოცხლე. იქ იამ მოპარვით ახედა მზეს და დარცხვენილმა თავი ჩალუნა, აქ გვირილამ ყელ-მოღერებით მიმოიხედა გარეშემო, და თითქო გაბარებულმა მზეს შესცინა. აგერ სოსანიც როგორ მოკეკლუცებულა და რაღაც სინაზით ისიც ხალისიანად ილიმება. აგერ ფრინველნიც რა მხიარულ ფერხულში ჩაბმულან და, აღტაცებულნი სიცოცხლის განახლებით, უერთდებიან ბუნების ზეიმს. გამჭრალა ზამთრის ყომრალი ფერი, და მოკრიალებულ ცის კალოზე მზის სხივები, ვნებით დამთვრალნი, ცეკვაში ერთმანეთს ეჯიბრებიან. არც ადამიანი დარჩა გულ-გრილ მაყურებლად: იმანაც მხიარულად შეჰლიღინა მოცინარ ზეცას. მაგრამ ამ საერთო მხიარულებას ვერ ეკარება ჩვენი მგოსანი. იგი გულხელ დაკრებილი განდგომილა და იძახის: ჩემთვის ჯერ არ დამდგარა გაზაფხულიო. ვეძებთ მიზეზს, თუ რამ აიძულა მგოსანი, რომ ამ საერთო სიხარულის დროს იგი ვერ ხარობს, და გვესმის პასუხად:

„სანამ ჩემი საყვარელი
 ქაჯებსა ჰყავთ ცხრა-კლიტულში,



ვინ მალირსებს სასუფეველს,
 ჯოჯოხეთი მიძევს გულშიო“.

ხედავთ სიძლიერეს მგოსნის სიყვარულისას, სამშობლოს გარეშემო შემოვლებულს? ხედავთ უზომო ტანჯვას, ჯოჯოხეთის სახით მგოსნის არსებაში მოქცეულს, სამშობლოს მდგომარეობით გამოწვეულს? ხომ ეს საყვარელი—მისი სამშობლოა, ტყვე-ქმნილი საქართველო, და ქაჯები კი-მტრები, რომლებიც ჰბორკავენ ჩვენ ცხოვრებას, გვიძნელებენ არსებობას, გვიწამლავენ ჰაერს, და ყველა ამას შოიქმედებენ მხოლოდ მიტომ, რომ ჩვენში ამოაშრონ ქართველობა, ამოსწოვონ ქართული სისხლი. და რა? ვანა დღევანდელი ჩვენი ცხოვრება ტყვეობას არ წააგავს? ხომ ჩვენ არავინ არ გვკითხავს, თუ რა გვინდა, რა წყლული გვაქვს; ხომ თვით ჩვენში დევნილია ქართული, ძალა წართმეული და არა-რად გამოცხადებული. და ქართველობაც იქამდის გადაგვარდა, რომ თვით სდენის თავის ქართველობას, უარ-ჰყოფს მშობლიურ ენას და ეხმარება ჩვენი მოსპობის მაძიებელთ. მგოსანი ჰხედავდა, რომ მის სატრფოს წყლული ჰქონდა, რომ მას მზრუნველი ხელი ეჭირებოდა, მის ნაცვლად კი უცხო ვინმე უშნოდ და ტლანქად უფათურებდა ხელებს, და ასე ტკივილის სიმწვავეს ერთი-ორად უზვიადებდა. ყველა ამის მაყურებელ მგოსანს როგორ შეეძლო უღარდელად ქეიფი ბუნების ნადიმზე. და აკი უარი სთქვა კიდევ. ნაღვლით დამძიმებულმა უარი სთქვა მონაწილეობის მიღებაზე. გაზაფხულს არ გაუღო გულის კარი, მხოლოდ ეს და უთხრა: როდესაც ამისრულდება ოცნება, როდესაც ვნახავ ჩემ საქართველოს ლაღს, თავისუფალს, ამაყად ჩაბმულს ამ მხიარულ მაყრიონში,

„მხოლოდ მაშინ დამიდგება
 მე ბედ-კრულსაც გაზაფხული“-ო.

ვიმეორებ, რომ აკაკის არ შეეძლო ბუნების ზეიმი გაეზიარა, როცა ამ მოცინარ სურათის გვერდზე აღმართული იყო შავ-ბნელი სურათი მისი ერის დაჩიავება-დახურდავებისა,



სურათი მისი ერის დევნა-ჩაგვრისა. როგორ შეეშლო მხიარული მაყრიონი შემოეძახა იქ, სადაც ყველაფერი გადაგარებულა და ვერანად ქმნილა, სადაც დავიწყებით თავისი ისტორია, წარსული, კულტურა და თვით ენაც კი.

„სხვა ენით ამიფლურტულდა,
ეზარებოდა ქართულიო“.

აქ კი გაორკეცებულია ჩვენი მწერლის სევდა. აქ უკვე თვით ჩვენები ჩაბმულან ფერხულში და ერთგულად ეწევიან იმ უღელს, რომელმაც ჩვენი გადაგვარება-მოსპობა უნდა მოიტანოს. ქართველი უარჰყოფს თავის ენას, შრომას უმსუბუქებს ჩვენი მოსპობის შაძიებელთ. ეს ხომ უმაღლესი წერტილია სიმახინჯისა. არ კადრულობდნენ და დღესაც (თუმცა უფრო ნაკლებად,) არ კადრულობენ, ქართულად საუბარს: — „ახლა არაეინ ლაპარაკობს ქართულადაო“, — გაიძახიან. ქართველს ეზარება საუბარი მშობლიურ ენაზე, ფლურტულებს უცხოზე გონ-არეული.

ყველა ამის მოწამე იყო აკაკი. ხედავდა, თუ როგორ ჰბილწავდნენ მის წმიდა ტაძარს, როგორ აგინებდნენ მის სამლოცველოს, როგორ ჰხდიდნენ ლეჩაქს მის ძვირფას დედას; და გამოექომაგა. მიმართა ქართველობას, რომ იქნებ გამოეფხიზლებინა და სამშობლოს საკეთილდღეოდ აემოძრავებინა მათი გონება, მათი ნება. იგინი ხომ გადაგვარების გზაზე იყვნენ დაქანებულნი. მათ მტკიცე სიტყვა ეკირვებოდათ, რომ შეჩერებულიყვნენ, რომ ეცნოთ სიავე დღისა და ცბიერობა-ცთუნება დაპატრონებულისა.

„გადაგვარების მოსურნე ბუნებისაგან კრულია,
მისი პირადი ღირსება ყოველგან დაჩაგრულია...“

ან და:

„ნურაეინ ისხამს სხვის ქურქსა, და ნუ სცვლის თავის ენასა,
თორემ ბოლოს დროს მოიმკის უსუსტარ ცრემლთა დენასა.“

ასე ეტყოდა იგი გადაშენების ბილიკზე წარმართულ ქართველობას, და თუ ამგვარი რჩევა ვერ აღწევდა მიზანს,

თუ მისი ხმა ყრუდ რჩებოდა და უმნიშვნელოდ იკარგებოდა, მაშინ იგი სასტიკი და უღმობელი იყო. მკაცრი სიტყვა-გესლის არაფერი შემოვლენებელი—აი მისი იარაღი ამგვარ დროს. მაშინ იგი შლიდა ქართულ ლექსიკონს და ჰკრებდა ყოველ სიტყვას, რომლის შემწეობითაც შესძლებდა შხამ-გესლის ნთხევას.

„ფარისევლო, გაუტანელო, სხეასთან თავ-მხრელო,
 შინ ორმოს მთხრელო, ნაგავის მყრელო,
 შენ ჰრელო გველო! რამ შეგაძულა, სტევი, საქართველო“.

აი, ასე ხედებოდა საქართველოს შინა-მტრებს; „თავი ქონით გაქვს სავეს და ტვინით კი ფეხებიო“, და მუდამ-თან მის არარაობაზე მეტყველებდა. მას სურდა ენახა საქართველო ცოცხალი, ხალისიანი, მის ნაცულად კი ხედავდა საქართველოს დაგრდომილს, სნეულს. ეს კი უმთავრესად მისი შვილების, ქართველების ბრალი იყო; ივინი ჩამორჩენ ცხოვრებას, მოხუქეს თვალი და ცხოვრებამაც აითრია ივინი. მოსწყდა წარსულს, დაებინდა აწმყო, და მომავალზე ფიქრსაც ხომ ვერა ჰხედავდა. მიხედა მას აკაკიმ, ახედ-დახედა და მიმართა:

„ეჰ, ქართველო, აბა მითხარ ვინა ხარ?
 მოწინავეს ჩამორჩი, უკანაზე წინა ხარ,
 უცხო კაცად არ ვარგხარ, აღარცა რა შინა ხარ,
 ორთა შუა ავდიხარ, სანაგველას ფინა ხარ“-ო.

და აბა ამგვარი ქართველობა როგორ ჩაუდგებოდა ცხოვრებას სათავეში, როგორ წარმართავდა საკეთილოდ საქართველოს ცხოვრების დენას. აკაკი რომ უწუნებდა მათ ყოფას, რომ უკიციანებდა სიცალიერეს, ხომ უნდა მიეცა რაიმე მცნება, რომ იმის-და მიხედვით ემოქმედნათ? ხომ უნდა ეჩვენებინა სურათი ნამდვილ ეროვნულ ცხოვრებისა. ეს აკაკიმ კარგად იცოდა. მას სურდა ყველა ეს ხელშესახებად და ნათლად ეჩვენებინა, ამიტომ მან უკან გვიბრუნა პირი, გადაგვიშალა საქართველოს ისტორია და ამოკრიფა მაგალითები, დაწატა სურათი, რომლის ნათელ პირზე არც ერთი შავი

წერტილი არ მოიპოვება. ყველანი ისეთი არიან სამშობლოს სიყვარულით გაცხოველებულნი, ისე მტკიცე ნების და უღრეკი სულის პატრონნი, რომ ძალა-უნებურად მაინც დიდი აღტაცებით აღევენებთ თვალ-ყურს მათ მოქმედებას. ყველანი გულადნი, მამაცნი, კეთილნი, სათნონი, ერთი სიტყვით ყველა იმ თვისებების მატარებელნი, რომელნიც საუკეთესოდ არიან მიჩნეულნი. აგერ თორნიკე ერისთავი, რომელიც ბერად შემდგარა და მარტოობაში ლოცვით ავედრებს ღმერთს თავის თავს და მთლად ცოდვიან ქყეყანას. იგი განდგომია სოფელს და ამ მყუდრო საფანეს დაყუდებულია. მაგრამ სამშობლო განსაცდელშია, და იგიც ფარხმალს აისხამს, სტოვებს საფანეს, სამშობლოსკენ მიეშურება, რომ განსაცდელი თავიდან ააცილოს. ასეთივეა მეფე, რომელიც ისეა გატაცებული ერის სიყვარულით, რომ თითქმის მოუფიქრებლად თავს გასწირავს მამულის საკეთილდღეოდ. საკმარისია მამულს რაიმე განსაცდელი მოელოდეს, უბედურების ღრუბლები შეჯგუფდნენ მის ცაზე, რომ მთელი ქართველი ერი, ვით ერთი კაცი, აღზდგეს და გადასწყვიტოს ან გამარჯვებული სიცოცხლე და ან სახელოვანი სიკვდილი.

ასეთი იყო ძველი სურათი, აკაკის მიერ გაიდევლებული. მაგრამ მის სრულსაყოფად, უნდა ვნახოთ, თუ როგორა ჰყავს დახატული აკაკის ქართველი ქალი ძველად. აკაკის ნათქვამია, რომ ქალი ბარომეტრია ერისაო. ვისაც სურს გაიგოს, თუ რას წარმოადგენს ერი, გაიცნოს ქალი, და ერის ვითარებაც თვალ წინ დაეხატებაო. ისე რომ, თვით აკაკის მიერ წარსულის სურათის გასათვალისწინებლად აუცილებელია ქართველი ქალის ზილვა, რომ შემდეგ თვით საერთო სურათზე შევიდგინოთ აზრი. აგერ ქართველი ქალი, შაჰ-აბაზის დროისა. მას აუსხამს აბჯარი და ბრძოლის ველზე გასულა. მამა არ ჰყოლია. ქმარი თათრის ომში მოუკლავთ. შეიღებია ჯერ არ დაზრდიან. ის-ღა დარჩენილა ოჯახში, მას უნდა მოეხადნა ვალი სამშობლოს წინაშე.



— „ვერ ვაქმევდი ოჯახს სირცხვილს, მომეხადა უნდა ვალი, მამა-კაცის მაგიერად მე ავიღე ხელთ ფარ-ხმალი“, —

ასე მიმართავს იგი ქალი შაჰ-აბაზს, როდესაც ტყვედ ჩაუყარდება. და შაჰ-აბაზის შეკითხვაზე:

„ნუ თუ მართლა ბრძოლის ველზე გამოსულხარ სუსტი ქალიო“,

იგი ამაყად უპასუხებს:

— „რატომ არა? ქალი რომ ვარ, უფრო ჩვილი არ მაქვს გული? აქ მარხია ჩემი ქვეყნის ერთგულება, სიყვარული“.

შაჰ-აბაზი გაოცდა. მთლად შეირბა სულის თანაბრობა, მოუტყდა ნება, და

„ზაშვალნუმ“ — ბოლოს ბრძანა, ქალი უნდა ამისთანა, ვხედავ რითიც მიმკლავდება ერთი ბოხჩა ეს ქვეყანა“.

ხოლო თავის ჯარს კი მისცა ბრძანება:

„შეაჩერეთ სისხლის ღვრაო, მზემან შუჭი მომაფინა, ვნებათ-ღელვა დამიცხრაო“.

აი ასე, ქალმა თავისი გმირობით, მამულის ნაზი სიყვარულით და ჩჩვილი გულის ნაკარნახევი თავდადებით მოსტენა ამაყი მტერი და ჩვენი მოსაპობის სურვილზე უარი ათქმევინა.

აგერ კიდევ მეორე ქალი, მწუხარე და სევდიანი რომ გადმომდგარა სერზე, თვალეზი ორბისებრ შორ სივრცისკენ მიუბჟურია და მოუთმენლად ელის ბრძოლის ველიდან შიკრიკს. იგი მოვიდა, მაგრამ პირველად ეს-ლა უთხრა: „რალა გითხრა მე საბრალომ, შენს შეილეების დამკარგავსო“. მაგრამ დახეთ ქალმა რა სასტიკად შეუყვირა, მკაცრად შეხედა და უთხრა:

„სუ! არ გკითხავ! შენ მითხარი ჯერ ესაო, თათრებს დარჩათ გამარჯვება, თუ ჩვენს ძლიერს მეფესაო?“

და როდესაც მიიღებს პასუხად:

„რასა ბძანებ, ქალბატონო,
 განა გვძლევდა თათარიო?“

და „ზარი დასცეს სერასქირსა,
 არ მოსულან ჯერეც გონსა,
 ქართველები ღმერთს მადლობენ,
 აღიდებენ სოლომონსა;“

მხოლოდ ამ პასუხის შემდეგ მიმართავს:

„აბა ახლა მომიყევი,
 რაც გადახდა ჩემს შვილებსო.“

მაგრამ რა ამბავი მოუტანა შიკრიკმა? ორი შვილი, უფროსი და უმცროსი ძმა, მტრის ტყვიას გაეგმირა, და ასე სისხლით დაეცვათ სიწმინდე მამულისა. ქართველ დედას ობოლი ცრემლი წამწამებზე შეუჭერდა, ნაცრის ფერი გადაედო სახეზე, მაგრამ მაინც შეკითხვა განაგრძო:

„საშუალომ რაღა ჰქნაო?“

მაგრამ მისდა საუბედუროდ საშუალო მხდალი აღმოჩნდა. იგი ურცხვად გამოეცალა იმ ცოცხალ კედელს, რომელიც მტრის ისარს მტკიცედ უხედებოდა და მით საშობლოს განსაცდელს თავიდან აცილებდა. მან დასტოვა ძმათა ბანაკი და დაიშალა. შიკრიკიც იმიტომ ეუბნებოდა დედას:

„ეგ სახელი არ უნახავს
 ქალაჩუნა შენს შვილსაო.“

და აქ მოკვდა დედა. აქ ჩაეფერფლა გრძნობა, და ნიშნად უმაღლესი მწუხარებისა

„მოთქმით თავი შოიგლიჯა,
 ამოჰყარა ძუძუები,“

და იწყო გლოვა ცოცხლად დარჩენილი შვილისა.

„არა ესტირი იმ ორ შვილსა,
 ომში მოკლულს გმირულადო,
 ვიგლოვ ცოცხალს, დარჩენილსა
 უსახელოდ, ვირულადო.“



ასე ჰყავს აკაკის დაბატული ძველი ქართველი ქველი, ძველი, ძველი, ძველი დედა. მაგრამ დღეს? აი აკაკის სიტყვები:

„დღეს ერთი ქალი გამაცნეს, სახელოვანი, ქებული, დედ-მამა ჰყავდა ქართველი, ქართლშია დაბადებული, მაგრამ ისეა ნასწავლი და ისე განათლებული, რომ დედა-ენა არ იცის, სძულს კიდევ დავიწყებული“.

ამის გვერდით კი მამა-კაცი ამოტუზულა, რომელიც ამ ქალთან ერთად ეწევა მძიმე უღელს გადაგვარებისას, და რომლებიც ერთად შეერთებულნი ისე აღშფოთებენ ჩვენ მწერალს, რომ მწერალი მთელ საქართველოზე აფრქვევს თავის რისხვას და მიმართავს: „ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველოვო!“ ამგვარი ბრისხანებითაც მას ქართველთ გამოფიხილება სურდა, და ამ სასტიკ ფორმით მაინც თავისი უნაზესი სიყვარული გამოსთქვა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ აკაკი ასე მკაცრად ამოთრახებდა თანამედროვე ქართველობას, მიუხედავად იმისა, რომ ასე ბნელად ჰხატავდა სურათს ჩვენი დაჩივება-დახურდავებისას, აკაკის მაინც იმედის სხივი გარს ევლებოდა და იმედიანადვე ამეტყველებდა. „ჯერ ცუდი სანახავია იმათი (ქართველების) მხარე მძინარი, მაგრამ, თუ გამოიღვიძეს, ბედი იმათი წინ არი“. ამ გამოღვიძების იმედი კი დიდი აქვს მგოსანს. „არ მომკვდარაო!“—გადასძახა ქართველობას, და იმედის ყვავილი ჩაუნერგა ყველას გულში.

„ჩვენ კი ჩვენდა თავად გეტყვით, გულისა სწამს და ქკუას სჯერა, რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა მომავალი ბედის-წერაო“.

აი ასე ეღერდა დიდი მგოსნის ჩანგური, რომელიც დღემუდამ აფრთხილებდა ქართველობას, უქმნიდა სიმღერებს და მით უკაჟებდა ნებას. იგი ესაუბრებოდა დიდ მიჯაჭვულ ამირანზე, რომელსაც „ყვავ-ყორანი ეხვეოდა, დაფლეთილი ჰქონდა გულიო“. თუმც იქვე აღსნასაც მიაყოლებდა, რომ „კავ-კასიის მალალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი არის მთელი საქარ-



თველო, და მტრები კი-ყვავ-ყორანიო“, მაინც შინაგანად, ვაჩ
 თუ პატარებმა ვერ გაიგონ ჩემი ნათქვამიო და მათთვისაც
 სხვა ენით ალაპარაკდა:

„ჰაუ, ჰაუ, ქორო ნუ ჰტრენ
 ამ ეზოში დილ-დილასო,
 ვერ მომპარავ, არ გაგბტან
 ჩემ პატარა წიწილასო.
 პატარძალი შემოგძახებს,
 ძალდი იწყებს ყეფასაო,
 ჩემი თოფი ტყვიას გიძღენის,
 დაგიკოცნის კეფასაო“.

ამით იგივე სთქვა, რაც ამირანის ლექსით, მხოლოდ
 ბავშვებისათვის ადვილ-გასაგებად. ორივე ლექსით კი სამ-
 შობლოს იმედიან მომავალზე გამოგვესაუბრა და მოგვიწოდა
 მოქმედებისაკენ. ამ იმედიან მღერით მან გადაგვიშალა ძლი-
 ერება სამშობლოს სიყვარულისა, აგვიპრიალა ცეცხლი ეროვ-
 ნული, და მოგვცა მცნება. „არა, აჰყავდეს იმედი, გულს
 ვერ გამიტებს ქალარაო,“—სთქვა მგოსანმა, როდესაც საქარ-
 თველოს ცაზე ბედის ვარსკვლავს მოჰკრა თვალი და აახმა-
 ურა დაფი და ნალარა გმირთ შემოსაკრებად. თუმცა იმგვარი
 გმირები ჯერ ცოტანი მოიპოვებიან, მაგრამ ნიშნებია, რომ
 მათი რიცხვი მალე გაიზრდება, და ქართველ „გლოვის
 ზარს“ მათი მხიარული „მაყრიონი“ შესცვლის. ყველა ამის-
 თვის შეიყვარა საქართველომ აკაკი, ყველა ამისთვის დააგვირ-
 გვინა და აუგო ის ხელთ-უქმნელი ძეგლი, რომელსაც ერის
 სიყვარული ეწოდება.

ვახტანგ კოტეტიშვილი.





ბრძოლა ადამიანისა ბუნებასთან

საზღვაო და სამდინარო არხები.

(წერილი მეთოანშექე).



ოგორც წინა წერილებშიაც ვსთქვით, ორ ქვეყანასა და ხალხს შორის ხშირად აყუდებულია მაღალი, გაუვალი მთები, რომლებიც ძლიერ აბრკოლებენ ამ მთების იქით და აქეთ მცხოვრებ ხალხების ურთიერთთან მისვლა-მოსვლას და კავშირს, რად-

განაც ეს მთები რამდენიმე ასი და ათასი ვერსით არიან ხოლმე იმ ხალხებს შორის გადაქიმულნი და მათი შემოვლა კი ამოდენა მანძილზე ძლიერ ძნელია და ძვირადაც ჯდება. ეს დიდი დაბრკოლება ადამიანებმა, როგორც იცით, ეგრედ-წოდებული გვირაბების გათხრით დასძლიეს.

ხშირია აგრეთვე, რომ ორ მეზობელ ზღვას შორის სულ მცირე რამ მანძილია, სულ მცირე მთა ან ბარი ძვეს, ასე რომ ერთ-ერთ ამ ზღვაში მოცურავე მეზღვაურს არას გზით არ შეუძლიან გასურდეს მეორე ზღვაში იმ ზღვიდან, რომელშიც თითონ დასურავს, ნავით თუ ხომალდით, რადგანაც იმ ზღვებს შუა მდებარე ხმელეთი უშლის მას შეასრულოს თავისი წადილი. დედამიწის ზურგზე არის ისეთი ადგილები, სადაც ორ მეზობელ ზღვას შორის ბუნებრივი გასასვლელია ერთი ზღვიდან მეორეში, ბუნებრივი გასადინარია ზღვების წყლისა ერთ-



მანეთში. ეს გასადინარები ჩვეულებრივ ვიწროებშია. ბიან **სრუტეებად**; ასეთია, მაგალითად, **დარდანელის სრუტე**, მარმარილოს და ხმელთაშუა ზღვებს შორის, სადაც დღეს სასტიკი ბრძოლა სწარმოებს ინგლის-საფრანგეთისა და ოსმალეთს შორის. სიგანე მისი ერთ ვერსსაც არ აღემატება. აი ასეთი სრუტეები, ასეთი ბუნებრივი გასადინარები ზღვებს შორის გახდნენ პირველ ხელმძღვანელად და მასწავლებლად იმისა, თუ რით და როგორ უნდა დასძლიონ ადამიანებმა ზემოდ დასახელებული მეზობელ ზღვებს შორის დადებული დაბრკოლება. მოკლედ—ამ სრუტეებმა ასწავლეს ადამიანებს ხელოვნური არხებით ზღვების თუ ოკეანეების და მდინარეების შეერთება და მათი ერთმანეთთან დაკავშირება, რომ საჭირო აღარ ყოფილიყო მთელი ასი და ათასი ვერსობით ზღვით გარს შემოვლა ხმელეთისა... თქვენ კარგად იცით, რომ მთელს აფრიკას თითქმის გარს ახვევია ზღვები და ოკეანეები და მხოლოდ ერთს ადგილას არის იგი გადამბული აზიასთან ვიწრო ყელით, რომელსაც **სუეცის ყელს** ეძახიან. მოვიდნენ თუ არა ამ ყელთან მეზღვაურები, უნდა გაჩერებულიყვნენ, რადგანაც სუეცის ხმელეთი უშლიდა მათ ამ ზღვაში გასვლას, და თუ მაინც და მაინც არ დაიშლიდნენ და უთუოდ უნდა გასულიყვნენ არაბეთის ზღვაში, სხვა გზა არ იყო, ან ხმელეთზე უნდა გადმოსულიყვნენ თავიანთ ნავეებიდან თუ ხომალდებიდან და ხმელეთით მისულიყვნენ არაბეთის ზღვამდის, ან და თავისივე ნავეებით თუ ხომალდებით განეგრძოთ ცურვა, მთელი უშველებელი აფრიკა შემოეფლოთ და არაბეთის ზღვაში ისე გასულიყვნენ.

ადამიანებს არ შეეძლოთ დიდ ხანს აეტანათ ასეთი დაბრკოლება და ჩვენც ვხედავთ, რომ უხსოვარ დროიდან, ქრისტეს შობაზე გაცილებით ადრე, ეგვიპტეს მეფეებმა ყურადღება მიაქციეს ამ დაბრკოლებას და უბრძანეს გაეთხარათ არაბეთსა და ხმელთაშუა ზღვებს შორის ისეთი არხი, რომ მეზღვაურებს პირდაპირ შესძლებოდათ ერთი ზღვიდან მეო-



რეში გაცურვა. არხი გათხარეს, მაგრამ თითქმის მთლიანად დაკრძალული ომების გამო არხს ყური ველარ უგდეს: ნელ-ნელა კელავ მიწით ამოივსო და მისვლა-მოსვლაც შესწყდა, სამუდამოდ თუ არა, რამდენიმე საუკუნით მაინც...

წარსულ მეცხრამეტე საუკუნეში ევროპელებმა გაიხსენეს ეგვიპტეს მეფეებისაგან გათხრილი არხი და განიზრახეს მისი აღდგენა, მაგრამ ეგვიპტეს მაშინდელი მმართველებმა შორს დაიჭირეს ევროპელების აზრი არხის აღდგენაზე, ეწინააღმდეგებოდნენ—სამუდამოდ არ წაგვართვან ეგვიპტეო და ნება არ დართეს არხის აღდგენაზე...

ბოლოს, როგორც იყო, საფრანგეთის გამოჩენილმა ინჟინერმა, **ლესეპსმა**, დაიყოლია ეგვიპტეს მაშინდელი მმართველი, **მაჰომედ-საიდი**, ნება მიეცა მისთვის სუეცის არხის აღდგენა-გათხრაზე. მიიღო ამის ნება თუ არა, ლესეპსმა დაუყოვნებლივ გამოაცხადა ეს ამბავი მაშინდელ ქურნალ-გაზეთებში და მოუწოდა ფულიან კაცებს შეედგინათ კომპანია (ამხანაგობა) ხსენებულ არხის გაყვანისათვის. ფულიანმა კაცებმა, მართლაც, მხარი მისცეს ლესეპსს, შეაგროვეს რამდენიმე ასი მილიონი მანეთი, ამოარჩიეს გამგებლებად საჭირო კაცები და შეუდგნენ საქმეს. სანამ გამგეობა ფულებს აგროვებდა, ლესეპსმა ოთხი წელიწადი გაატარა არხის გასაყვან ადგილებში, დაასურათა და დაგეგმა იგი ყოვლის სისრულით და გამოიანგარიშა, რომ არხს სიგრძე 150 ვერსი ექნება, სიღრმე ოთხი საყენი და სიგანე 26 საყენი, რომ საჭირო იქნება სამი ნავთსადგურის გამართვა, ერთი—არხის შესავალში, ხმელთაშუა ზღვის პირად, მეორე—არხის ბოლოში, არაბეთის ზღვის პირად, და მესამე—არხის შუა ადგილზე. პირველ სადგურს ლესეპსმა **საიდის** ნავთსადგური დაარქვა, საუკუნო სახსოვრად თვისი დამხმარებლის ეგვიპტეს მაშინდელი მმართველისა, მაჰომედ-საიდისა, ხოლო მეორეს უკვე ერქვა **სუეცი**, და იგივე სახელი დასტოვა.

როცა ლესეპსმა ამგვარად ყველაფერი ცნობაში მოიყვანა და ქალაქებზე აღნიშნა, 25 აგვისტოს 1859 წელს,



მან, აუარებელ ხალხისა და მუშების წინაშე, პირველმა დაჰკრა წერაქვი ხმელთაშუა ზღვასთან სუეცის მიწას, მას მოჰყენენ მუშები და გაჩაღდა მუშაობა.

ადგილი არ იყო ამოდენა საქმის გამარჯვებით დამთავრება, მაგრამ ლესეპსმა ყოველი დაბრკოლება დასძლია და ათი წლის შემდეგ, 15 აგვისტოს 1869 წ., როცა გახსნეს თავი და ბოლო არხისა, საუკუნოებით დაშორებული ორი ზღვის წყალი გამალებული და აქაფებული გამდინარდა ერთმანეთისაკენ, შეუერთდა ერთმანეთს. ლესეპსის სიხარულს და ხალხის მისდამი პატივისცემას ამ დღეს საზღვარი არა ჰქონდა. სუეცის არხის სარგებლობა კაცობრიობისათვის პირდაპირ დაუფასებელი და აუწერელია. დღეს ამ არხით ყოველ წლივ და-

იარება 4—5 ათასი გემი და ყოველი მათ განი ერთ თვეს ნაკლებ დროს მინც ახმარებს ახლა თავის მოგზაურობას, წინანდელ დროსთან შედარებით.



სინაის არხი.


წათამამებული სუეცის არხის ბრწყინვალე გაყვანით, ლესეპსმა ახლა პანამის არხის გათხრა განიძრახა, და ერთი წლის შემდეგ სუეცის არხის გათავებისა, ესე იგი 1870 წელს, იგი ცხარედ შეუდგა ამ არხის ქადაგებას მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში. როცა დაჰხედავთ ორსავე ამერიკის რუქას, უმკველად იტყვიით—რა კარგი იქნებოდა, რომ იმ ადგილას, სადაც პანამის ყელია, რომელიც ჰყოფს ორ უდიდეს ოკეანეს, სრუტე ყოფილიყო. გამოაცხადა ეს აზრი ლესეპსმა თუ არა, ყველამ აშკარად იგრძნო მისი უღარესი სარგებლობა კაცობრიობისათვის და ამიტომ ყველამ, ლარიბმა თუ მდიდარმა, უშურველად



შეიტანა თვისი უკანასკნელი დაზოგვილი გროშები, კანაშის არხის კომპანიაში, აარჩიეს საჭირო კაცები საქმის გასაძლეად და შეადგინეს გეგმა: აღმოჩნდა, რომ არხს სიგრძე 69 ვერსი ექნება, სიღრმე 6—7 საყენი და სიგანე—50 საყენამდის. ფული რვაას მილიონ მანეთამდის მოაგროვეს, მაგრამ დახეთ უბედურებას: მუშაობას კარგად აწარმოებდნენ, მაგრამ ბევრი ისეთი მოულოდნელი ხარჯები დაატყდათ თავს, რომ მოგროვილი ფული არ გასწვდათ, კომპანიამ საქმე ველარ აწარმოვა და რამდენიმე წლის მუშაობის შემდეგ იძულებული გახდნენ ასეთი დიდი იმედებით დაწყებული საქმისათვის თავი მიენებებინათ. დიდად საგრძნობელი იყო ბევრისთვის ამოდენა ფულის უქმად ჩაღუბვა, მაგრამ რალა გაეწყობოდა.

დაწყებულმა, თუმცა დაღუპულმა, საქმემ მარტო ის სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას, რომ ყველას აშკარად დაანახვა ერთი გარემოება, სახელდობრ: რომ არხი შეიძლება გაყვანილ და დასრულებულ იქნას, თუ ფული საკმაოდ იქნება მოგროვილი. ამ აზრს ყველაზე მეტად იზიარებდა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა და ამიტომ არხის დამთავრებაც ამათ იკისრა. გაჩაღდა კვლავ მუშაობა, და 1912 წელს

არხი უკვე მზად იყო! დღეს ზედ თვით უდიდესი სამხედრო გემებიც მიდი-მოდიან დაუბრკოლებლად ერთი ოკეანედან მეორეში.



კორინთის არხი.



ის გემები, რომლებიც იტალიიდან იონთა ზღვით სტამბოლს ან ჩვენსკენ შავი ზღვით მოდიოდნენ, იძულებულნი იყვნენ სამასი ვერსი მეტი გაეველოთ საბერძნეთის ნახევარკუნძულის გარს შემოვლით. ეს ნახევარ-კუნძული კი ისეთი ვიწრო ყელით არის შეერთებული დანარჩენ საბერძნეთთან, რომ მარტო ექვსი ვერსი აქვს აქ სიგანე. დიდხანს ფიქრობდნენ საბერძნეთის ინტინერები ამ ყელის გაკრას არხით, მაგრამ 37 საექენიანი სიმაღლის კლდე, რომელიც ამართული იყო კორინთეს ყელზე, ძლიერ აშინებდა და აფიქრებდა მათ: ვაი თუ ვერ დაედლიოთ იგიო.

ბოლოს, 1882

წელს, როგორც

იყო გაბედეს,

მუშაობა დაიწყეს და 1893 წ.

გაათავეს კიდეც.


ამ არხის გათხრას დასჭირდა

სულ 11 წელი

წადი მუშაობა

და 10 მილიონი

მანეთი ფული.



ჩრდილოეთის არხი.

ადამიანები ცდილობენ, რომ მისასვლელი გზები რაც შეიძლება მოკლე და სწორე იყოს, რომ ტყუილ—უბრალოდ მეტი დრო და ფული არ დაკარგონ მისვლა-მოსვლაზე. ამიტომ არხებს აკეთებენ არა მარტო სავაჭრო მიზნით, არამედ სამხედრო მიზნითაც, რომ ომის დროს სამხედრო გემებს სწრაფად შეეძლოთ გასვლა ამა თუ იმ ადგილას. დაჰხედეთ ჩრდილო გერმანიის რუქას, და თქვენ ცხადად დაინახავთ, რომ ჩრდილო და ბალტიის ზღვებს შორის ჩაჩხირულია მთელი ნახევარი კუნძული, იუტლანდია, რომელიც ძლიერ

აქნელებს გზას ბალტიის ზღვიდან ჩრდილოეთის ზღვამდე მდინარეებსა და სასვლელებს. ამიტომ გერმანელებმა განიზრახეს აქ არხის გაკრა იუტლანდიის ნახევარ-კუნძულის უუფიწროეს ადგი-



სამდინარო არხები.

ლას და 1887 წელს მუშაობასაც შეუდგნენ. თუმცა არხს სიგრძე 93 ვერსი აქვს, სიგანე 30 საყენი და სიღრმე 4 საყენი, გერმანელებმა იგი სულ რვა წლის განმავლობაში მოათავეს, და რადგანაც ეს საქმე გერმანელების ახლანდელი იმპერატორის ვილჰელმის დროს შეასრულეს, არხსაც მისი სახელი უწოდეს. ამ არხის გათხრა და მოწყობა დაჯდა მნ მილიონი მანეთი.

დედამიწის ზურგზე ხშირია ისეთი მაგალითებიც, რომ მდინარეები ძლიერ უახლოვდებიან ერთმანეთს, ანუ თვით ზღვებს. დაჰხედეთ, მაგალითად, რუსეთის რუქას იქ, სადაც დონი და ვოლგაა დახატული, და თქვენ ნახავთ, რომ ქალაქ ცარიცინთან, რომელიც ძვეს მდინარე ვოლგაზე, ეს მდინარე ძლიერ უახლოვდება მეორე მდინარეს—დონს. საკმაო ადამიანმა გასჭრას აქ ამ ორ მდინარეს შორის არხი, რომ შენავეებს შეეძლოთ თავისუფლად გაცურდნენ ერთი მდინარიდან მეორეში. ზოლო მდინარე ვოლგას სათავე ძლიერ უახლოვდება ბალტიის ზღვისკენ მიმავალ მდინარეებს, და



რომ ეს უკანასკნელი მდინარეები შეუერთო მდინარე ვოლგას არხებით, ამით თვით კასპიის ზღვა იქნებოდა შეერთებული ბალტიის ზღვასთან.

ჩინელებმა ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე შენიშნეს ასეთი მდებარეობა მდინარეებისა და მაშინვე გათხარეს ეგრედწოდებული დიდი საიმპერატორო არხი, რომელიც აერთებს ქალაქ პეკინს ქალაქ ხან-ჯოუსთან. ეს არხი აერთებს ჩინეთის ორ უდიდეს მდინარეს—ხუან-ხეს და იან-ძი-ძიანს და მრავალ სხვა წვრილ მდინარეებს და ტბებს. ამ არხს აქვს 380 ვერსი სიგრძე და ისეთი განიერია, რომ ზოგან 140 საეცენს უწყევს.

მრავლად არის სამდინარო არხები ინგლისში. კალედონიის არხი, მაგალითად, აერთებს იქ ორ მდინარეს და მათი შემწეობით ორ ზღვასაც. ინგლისში ისე მრავლად არის სამდინარო არხები, რომ სიგრძე ყველა ამ არხებისა უდრის მთელი ინგლისის ყველა მდინარეების სიგრძეს.

მრავალია სამდინარო არხები აგრეთვე საფრანგეთში. ერთ ასეთ უდიდეს არხად იქ ითვლება რონა-რეინის არხი, სიგრძით 200 ვერსი; ეს არხი აერთებს ორ მდინარეს: რონას, რომელიც ერთვის ხმელთაშუა ზღვას, და რეინს, რომელიც ერთვის ჩრდილოეთის ზღვას; გამოდის, რომ რონა-რეინის არხი აერთებს ხმელთაშუა და ჩრდილოეთის ზღვებს.

სამდინარო არხები ბლომად არის რუსეთშიაც. ასეთი არხების კეთება რუსეთში დაიწყო პირველად იმპერატორმა პეტრე დიდმა ამ ორასი წლის წინად. რკინის გზები მაშინ სულ არ იყო და ამიტომ ნაოსნობა შეადგენდა საუკეთესო საშუალებას ვაჭრობისა და ხალხთა ურთიერთობის განმტკიცება-გაცხოველებისათვის. პეტრე დიდმა, მაგალითად, ასე შეაერთა კასპიისა და ბალტიის ზღვები: მან გაათხარეინა ხუთი არხი მდინარე ვოლგასა და ნევას შორის და ამ სახით შეაერთა არა თუ მარტო ეს მდინარეები, არამედ თვით დასახელებული ზღვებიც, რადგანაც მდინარე ნევა ერთვის ბალტიის

ზღვას, ხოლო ვოლგა—კასპის ზღვას. მოხსენებულ არხში შესანიშნავი ლადოგას არხი, სიგრძით 103 ვერსი; იგი გათხრილია ლადოგას ტბის პირის გაყოლებით მდინარე ნევის დასაწყისამდე. ტბას იმიტომ აუქცია გვერდი პეტრე დიდმა, რომ ლადოგას ტბაზე იცის ხშირი ქარიშხლები, და ქარიშხლები კი ძლიერ საშიშოა ნაოსნობისათვის. ამ ეამად ასეთი სამდინარო არხებით დვინასა, ვისლასა, ნემანსა და დასავლეთ დვინას საშუალებით შეერთებულია აგრეთვე შავი და ბალტიის ზღვები. შეერთებულია არხით აგრეთვე საიმანის ტბა (ფინლანდიაში) ბალტიის ზღვასთან. საიმანის არხი თვისი ტექნიკური მოწყობილობით ითვლება საუკეთესო არხად შთელ რუსეთში...

ივ. როსტომაშვილი.





ქართული
ლიბრეოთეკა



შ ა რ ა დ ე ბ ი

(წარმოადგენია ზ. ნაორაძის მიერ)

I

უხმო ასოს დაუმატეთ
იარალის ხელ-საკიდი,
(შხოლოდ მისი ბოლო ასო
ჩვენგანაა გასაყიდი)
და მიღებულს მიაკერეთ
სიღარიბის გზა და ხიდი;
ერთად—შენი დაღუპვა სურს,
თუ გიცინის, არის ფლიდი.

II

მის სახელსა, საიდანაც
დღე დაინახავ ვარსკვლავსა,
საყვირი რამ დაუმატე,
ასაკს იტყვი არა აესა.





რ ე ზ უ ს ი

(წარმოადგენილია ნ. დარაშვილის მიერ)



ბი



თრ

ერთი დედ-
მამის ქალი-
შვილები რა
იქნებიან?

უ200,ნი



უნ

მამი შე-
ნის ქა-
ლი შვი-
ლი რაა
შენი?



თ



ი

ი

ი

„ნაკადული“-ს რედაქციაში

და



წერა-კითხვის საგომადლოების წიგნის მალაჩიაში იქილვა შემდეგი წიგნები:

- 1) ტომის თავგადასავალი, — თბ. მარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი 50 კ.
- 2) რას გვიამბობს ოთახი, — თბ. ავენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი 20 კ.
- 3) საყმაწვილო მოთხრობები, — ნინო ნაკაშიძის ფასი 10 კ.
- 4) სკრუჯი და მარლიე, — საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი 25 კ.
- 5) დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები პ. ჯ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიპლინგისა, ფასი. 30 კ.
- 6) ბავშვობა და სიყრმე, — მოთხრობა ლევ. ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი. 60 კ.
- 7) ორი მხატვარი, — თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი 15 კ.
- 8) სამშობლო ბუნების სარკე, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები, — ივანე ელიაშვილისა, ფასი. 30 კ.
- 9) შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნაკაშიძისა, ფასი. 5 კ.
- 10) ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი—ეგოისტი, ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაკავარიანისა, ფასი. 5 კ.
- 11) დათო, — ირ. ევლოშვილისა, დიდების მადიებელი, თარგმ ალ. შანშიაშვილისა, ფასი. 5 კ.
- 12) მოთხრობები, — ლაგერლეფისა და სხვა უცხო მწერლებისა. 5 კ.
- 13) იგავ-არაკნი, — 125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, ავტორის სურათით, ალ. შირიანაშვილისა, ფასი. 75 კ.
- 14) ბიძია თომას ქოხი, — რომანი ბიჩერ-სტოუსი ზანგთა განთავისუფლების დროისა, სურათებითა და ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიშიაშვილისა. 1 მ. 25 კ.

1915 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

საქართველო
გაზეთების კავშირი

„ნაკადული“ № 8

წელიწადი შეთვრაზე

ჟურნალი ნაკადული გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

24 წიგნი „ნაკადულისა“ 12 წიგნი „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

36 სურათი ნაკადულის 1-ლ გვირდზე.

საჩუქრად 1915 წ. მიეცემა მხოლოდ ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს წიგნი: დასურათებული „ხალხური ზღაპრები“, —სამეგრელოში შეკრებილი იოსებ ყიფშიძის მიერ.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. ნახევარ წლით—3 მან., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3 მ.**, მოზრდილთათვის **12 წიგნი—3 მან.**, ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

საზღვარ გარედ: ერთი წლით **7 მ.**, ნახევარი წლით **4 მ.**

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში — „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავარიშვილთან. **სამტრედიისში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან დაკ. თელიასთან. **ბათუმში**—ტროფიმ ინასარიძესთან, ფოსტაში, ჭ ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** ჭ **ლანჩხუთში**—ლევო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—ნინო გელაშვილთან. **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან. **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან. **ნახიჩევანში**—სამ. მარჯანიშვილთან. **ხონში**—მ. ი. ქავეჯანიძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი ბ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.